



ილორი

www.ilori.ge



№ 79 (140) 10 აგვისტო 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

2008 წლის 8 აგვისტო საქართველოს დიდი სირსხვილის დღეა!

2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებამ ჩაიდინა დანაშაული კაცობრიობის წინაშე: წამოიწყო პროვოკაციული ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. თუ რაც მოჰყვა შედეგად ამ ომს, კიდევ დიდხანს შეგვახსენებს თავს – გაუმართლებელი მსხვერპლი – ასობით უდანაშაულო ჯარისკაცისა და მშვიდობიანი მოსახლის მოსპობილი სიცოცხლე, აშკარა განდაღიზიბი, რაც გამოიხატა მძინარე ქალაქ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვაში, დევნილთა ახალი ტალღა, ახალი ტერიტორიების დაკარგვა და უკვე დაკარგული ტერიტორიების იურიდიული გაფორმება...

ერთის სიტყვით, მტრისას, რაც ჩვენმა "ნაციონალურმა" ხელისუფლებამ საქართველო უბედურებაში გახვია!

უიმედობა დაეუფლა სრულიად საქართველოს, ახალ გეგმებში აღმოჩნდნენ გამომწვეველი შრომისმოყვარე ადამიანები, რომლებიც ქედმოუხრელად მუშაობდნენ სამაჩაბლოს ბაღ-ვენახებში...

უკვე არაფერს ეპარება ეჭვი, რომ ჩვენი სამარცხვინო ხელისუფლება ამ დამღუპველ ნაბიჯზე ამერიკის ექსპრეზიდენტ ბუშის (რომლის სახელი დღესაც "ამშვენებს" თბილისის ერთ-ერთ ქუჩას) წაქეზებით წავიდა, რომელმაც შემდეგ კურდღელივით მოცოცხა ბუჩქებში (ნეტავი, როდის და ვის უნახავს ამერიკელების მიერ მოგებული ომი) და პირისპირ შეგვატოვა განრისხებულ რუსეთს. და რომ არა კვლავ რუსეთის ხელისუფლების კეთილი ნება, არავინ იცის რითი დამთავრდებოდა ეს ომი საქართველოსათვის, განსაკუთრებით კი მისი ხელისუფლებისათვის, რომლებიც უკანმოუხედავად გარბოდნენ. ამ დროს კი, ბომბის აფეთქებით დამფრთხალი მათი "მამაცი" მთავარსარდალი ცხვირით ხნავდა ქართლის მიწას!

ამერიკელები კი იმით დაგვეხმარნენ, რომ ჰუმანიტარულ დახმარებად წყალი და "პამპერები" გამოგვიგზავნეს, ხოლო სად გაქრა მათ მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი თანხა, ამას ალბათ მანამ ვერ გავიგებთ, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებაში ნაციონალები ბოგინობენ!

უფრო მეტიც – ჩვენი ხელისუფლების რიხიანი განცხადებებიდან გამომდინარე (ტყუილად კი არ ამბობენ, რომ პიარში წარმატებას უზენოები აღწევენ, რადგან ინსინუაციების გამოყენებას არ ერიდებიან), ადამიანს შთაბეჭდილება დაგრჩება, რომ რუსებს ომი მოუფუტ და ვორონეჟამდე ტერიტორიაც ჩამოვაჭერთ.

ამრიგად, საქართველოს მოძულე არაქართული ხელისუფლების ძალისხმევით, უფრო გამწვავდა ურთიერთობა რუსეთთან, ამას მოჰყვა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რამაც ბევრად დაგვაშორა საქართველოს გამთლიანების ისედაც მიწვეულ იმედს!


სწორედ ქვეყნისათვის ამ სამარცხვინო მოვლენას მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც 2010 წლის 5 აგვისტოს მოაწყო არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიულმა მემკვიდრეობამ". გაზეთის ამ ნომრის მე-10-12 გვერდზე გათავაზობთ აღნიშნული კონფერენციის მასალებს.



ბაზეთი "ილორი" უძღვება რეპრეზანტს "მსოფლიოს დიდი უმჯობესებები"



ამაღერო კარისო
კარლოს კასელი
იან კულმანსი



მებრული
პოეზიის
რეფსოდია
კოეტი
ლაშა
ბახარია

ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!
მებრული „ნაციონალიზმი“ ანუ
შეთქმულება ერთიანი
საქართველოს წინააღმდეგ
8 ბიორბი ხუფენია

ივანე ჯავახიშვილი ქართველ ერის ისტორია

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში შეუტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე.



კვლავ ერთად, კვლავ
ერთმანეთის იმედით...

ბრიტოლ შარვაშიძე-ჩახავასა და ალათი დავიანის ოჯახი

ხვლავ ერთად, ხვლავ ერთმანეთის იმედით...

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ნაწვევებს 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრის მიერ ერთობლივად გამოცემულ, პროფესიით ექიმის პაატა ქურდოვანიძის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებულ ილუსტრირებულ "ქართულ-აფხაზური ალბომი"-დან, რომელშიც XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა აღწერილი. წერილს თან ერთვის უნიკალური ფოტომასალა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი ორივე ხალხისათვის დიდი კულტურულ-ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო.



იზრდებოდა. დედა, ტერეზა ლაკერბაია აფხაზეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ფეოდალის, მთელს კავკასიასა და თურქეთში ცნობილი გენერლის კაც მარდანიას შვილის შვილი გახლდათ. კაც მარდანიას ვაჟს, დავითს, ორი ქალიშვილი ჰყავდა: ნინო და ეკატერინე. ნინო – მურზაყან ლაკერბაიას გაჰყვა ცოლად. ეკატერინე – ლევან მხეიძეს. მამას მზითვად ორივე ქალიშვილისთვის თითო-თითო ურემი ოქრო გაუტანებია. მურზაყანმა საჩუქარი სამეურნეო საქმიანობას მოახმარა და ერთ-ერთი უმდიდრესი პიროვნება გახდა აფხაზეთში, ლევანმა კი ცოლის მზითვით დროსტარებაში დაინაწია. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ მურზაყანისათვის ლევანს ხუმრობით უთქვამს, მე მთელი ქონება ჩემს თავს მოვახმარე, შენ კი ყველაფერი კომუნისტებს ჩააბარე.

მურზაყან ლაკერბაიასა და ნინო მარდანიას ექვსი ვაჟის შემდეგ ნაბოლარა ნანატრი – ქალიშვილი ტერეზა შეეძინათ. მამა ერთადერთ ქალიშვილს ძალიან ანებიერებდა...

მამამ – ალექსი შერვაშიძემ ვორონეჟში სამხედრო განათლების მიღების შემდეგ სწავლა საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე განაგრძო. საფრანგეთიდან არდადეგებზე ჩამოსულს ტერეზა გაუცვინია. მათ ერთმანეთი შეჰყვარებიათ. იმის გამო, რომ მურზაყან ლაკერბაია წინააღმდეგი წავიდა განებიერებული ქალიშვილის გათხოვებისა, ალექსის და ტერეზის სოხუმში მალულად დაუწერიათ ჯვარი და პარიზში გამგზავრებულან. სწორედ პარიზში დაგებადებული 1911 წლის 16 ნოემბერს. ჯოტო შერვაშიძეს წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში მოეუწინათოქარა...

მეყავდა უმცროსი და-ძმა – უღამაზესი ლილი შერვაშიძე, რომელიც ცოლად გაჰყვა ნესტორ ლაკობას ცოლის ძმას – მეჯიდ ჯიჰოლლის (1937 წელს დახვრიტეს) და ძმა დიმიტრი (დიმა) შერვაშიძე, რომელიც 1919 წელს კონსტანტინოპოლში, სულთნის სასახლეში დაიბადა.

კაც მარდანიას ძმის შვილი, ნაზიფა, თურქეთის სულთნის, აბდულ ჰამიდ III-ის მეუღლე იყო. ჩვენი ოჯახი სტუმრად ეწვია მათ. დედასთან ერთად იყო მისი დეიდაშვილი, თავადის ასული ციცინო მხეიძე. სწორედ მაშინ გაჩნდა ჩემი ძმა, დიმიტრი. მასსოფს, აფხაზეთში ძვირფასი საჩუქრებით დაუბრუნდით.

რადგან მამაჩემი სათადარიგო ოფიცერი იყო, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე გაიწვიეს. იგი "ველურ დივიზიაში" როტმისტრის, ანუ ასმეთაურის ჩინით მსახურობდა. "ველურ დივიზიაში" მხოლოდ თავადაზნაურთა შვილები ირიცხებოდნენ, ძირითადად კავკასიელები.

პარიზიდან მე, დედა და ჩემი და, ლილი კიევში გავემგზავრეთ, რათა ახლოს ვყოფილიყავით ამ დივიზიის დისლოკაციის ადგილთან. კიევში, კრეშნატიკის ქუჩაზე გქონდა დიდი სახლი, სადაც სადამოლობით მამაჩემის მეგობრები იყრიდნენ თავს, ხოლო შეგებულების დროს ჩვენთან ცხოვრობდნენ. ამ სახლს "ველური დივიზიის კიევის შტაბ-ბინაც" კი შეარქვეს. ზაფხულში ჩვენი ოჯახი კიევთან ახლოს, შულაიაკაში ისვენებდა.

ამ პერიოდში კიევში ცხოვრობდა რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის დედა – ქერივი დედოფალი მარია ფეოდოროვნა. მასთან ერთად იმყოფებოდა გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს (დუმის) წევრი იყო და დიდი გავლენით სარგებლობდა იმპერატორის კარზე. ასე ამბობდნენ, რომ იმპერატორმა მარია ფეოდოროვნას მორგანატიკული ქორწინება ჰქონდა გაფორმებული გიორგი შარვაშიძესთან.

ჩემი მშობლები მეგობრობდნენ იმპერატორისა და მისი შვილების – სპირიდ სადილოვანსა და სანახლეში, საუბრობდნენ...

ერთხელ მამას დიდი განსაცდელი შეხვდა. "ველურ დივიზიაში" მსახურობდა გარუსეული, წარმოშობით გერმანელი ოფიცერი, ბარონი შრომბერგი. იგი თურმე უხეშობითა და მძიმე ხასიათით გამოირჩეოდა. უმოწყალოდ სცემდა თავის ოფიცერებს, რის გამოც არ უყვარდათ. მათ შორის ერთ-ერთი აფხაზი, ვასილ აგრაბა აღმოჩნდა. დივიზიის კრებაზე ალექსი შერვაშიძემ განუცხადა შრომბერგს, რომ იგი ცუდად მოექცა ოფიცერ აგრაბას და მოსთხოვა ბოდიშის მოხდა. ბარონმა უკან არ დაიხია და კვლავ იუხეშა. უხეშობისათვის თავადმა შერვაშიძემ ხელთათმანი გაატყა სახეში. შრომბერგმა წამსვე დუელი მოითხოვა. დილით მამაჩემი და ბარონი სეკუნდანტებთან ერთად დანიშნულ ადგილზე მივიდნენ. დუელი წესის დაცვით დაიწყო. მოხდა ისე, რომ ალექსიმ ისროლა პირველად და ბარონი ადგილზე გარდაიცვალა. ომის პერიოდში დუელი აკრძალული იყო და მეკავრად ისჯებოდნენ მონაწილეები. ალექსი შერვაშიძე შინაპატიმრობაში აიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ "ველური დივიზიის" შტაბში მივიდა მოკლულის დედა, ბარონესა შრომბერგი და თავად ალექსი შერვაშიძესთან შეხვედრა მოითხოვა. აივანზე შავებში ჩაცმული ქალბატონი იჯდა ოფიცრებით გარშემორტყმული. პოლიკონიკმა მერჩულემ მას თავადი შერვაშიძე წარუდგინა. ბარონესამ შეხვდა ალექსის და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა: "თავადო, მინდა ვიცოდე, როგორ გჯერა თავი ჩემს ვაჟს დუელის დროს". "რანდულად" – იყო პასუხი. მან თეთრი ცხვირსახოციტ ცრემლი მოიწმინდა და თქვა: "თავადო თავისუფალი ბრძანდებით". ალექსი შერვაშიძემ ქველი მოიხარა ბარონესას წინაშე და გავიდა. მალე მამას ბრძანება მოუვიდა, რომ

დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულიყო კიევში, იმპერატორმა მარია ფეოდოროვნას სასახლეში გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძესთან. დედაჩემი დედოფალს შეხვდა. აღელვებულმა მარია ფეოდოროვნამ დედას ამცნო, რომ საქმე არც ისე კარგად იყო და ალექსის სამხედრო ტრიბუნლის წინაშე მოუწვევა წარდგენა, მაგრამ იმასაც დაჰპირდა ტერეზა, რომ ყველაფერს გააკეთებდა თავადი შერვაშიძის გადასარჩენად.

იმპერატორმა რეზიდენციაში მამა გიორგი შერვაშიძეს წარუდგა. შეხვედრას დედაჩემის ბიძაშვილი, კონსტანტინე ლაკერბაიაც ესწრებოდა. გიორგი მკაცრად შეხვდა ალექსის. უთხრა, რომ ომის დროს დუელი დაუშვებელი იყო, იგი მას არ დაეხმარებოდა და ჩვეულებრივად გაასამართლებდნენ. მამა დუმდა. მაშინ კონსტანტინემ სთხოვა ნება მიეცა, მოეყოლა ყველაფერი. ამის შემდეგ გიორგი შერვაშიძე თანდათან დაწყნარდა, მოლბა და ალექსი და კონსტანტინე გაანთავისუფლდა. მამა აღარ გაასამართლეს, მაგრამ გარკვეული პერიოდი შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ომიც დამთავრდა და ჩვენ აფხაზეთში დავბრუნდით... იგი ამ დუელის თაობაზე არასოდეს საუბრობდა, მისთვის ძალიან მტკივნეული თემა იყო. ეს ამბავი დაწერილებით ვანიკო ლაკერბაიამ მამამ, რომელიც "ველურ დივიზიაში" მსახურობდა და მომსწრე გახდა ამ ისტორიის".

მეც მხვდა პატივი, ურთიერთობა მქონოდა ლეო შერვაშიძესა და მის შესანიშნავ მეუღლესთან – ქალბატონ ალდონა გაბუნიასთან.

არჩევნულდებივი პიროვნება იყო ბატონი ლეო. მორიდებული, სათნო, მუდამ კეთილი ღიმილი ეფინა სახეზე. ხანგრძლივი მღელვარე ცხოვრებაგავლილი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. მისი უპირველესი საზრუნავი სამშობლოს ბედ-იღბალი და მისი მომავალი გახლდათ, მისი ფიქრები დღენიადავ აფხაზთა და ქართველთა ძმობისა და მეგობრობის აღდგენის ირგვლივ ტრიალებდა.

ბედნიერება ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა, რადგან სწორედ მსგავსი პიროვნებები წარმოადგენენ ერის ზნეობრივ სახეს. მათი უპრეტენზიო ცხოვრება ფასდაუდებელი მაგალითია ახალგაზრდობისათვის ამ ცოდვა-მადლით სავსე წუთისოველში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწევრს აკადემიკოს კლიმენტი შელიას წიგნიდან

**იბერია იწყება
კოლხეთით,
კოლხეთშია
ქართული და
მსოფლიო
ცივილიზაციის
სათავე**
ლევან სანიკიძე.

ზოგიერთი საქმეში ჩახველი მკვლევარი კითხვობს, საიდან მოვიდა მეგრული „ნაციონალისტური“ (მეგრული ნაციონალიზმი?) – „მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფი“, საქართველოში რა დროიდანაა. ახალი – ერი – ახალი „ნაციონალიზმი“ როდესაც მეგრული მოძულე, ქართველი ერის მტრებს დასჯირდათ სამეგრელოს წინააღმდეგ უღმობელი ბრძოლა, მაშინ მეგრელები ცალკე ერადაც კი მონათლეს. ეს ვიღაცებს სჭირდებოდათ, სჭირდებოდათ საქართველოს გამთიშველებს.

მასხოვს ასეთი ფაქტი: როდესაც თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურის პარტიულ კრებაზე (ესწრებოდა უნივერსიტეტის პარტიკომის მდივანი ბახტაძე) ასპირანტმა ოთარ ქაჯაიამ (ამჟამად პროფესორი) პროტესტის ნიშნად პარტიკომის მდივანს მიმართა: **“როდის გახდა მეგრელები ერი – “ნაციონალიზმი” აქ ლაპარაკი?”** ეს მაშინდელ პირობებში იყო უდიდესი გამბედაობა. ეგონათ, ო. ქაჯაიას მალე დააპატიმრებდნენ. უნივერსიტეტის პარტიკომის მდივანი ბახტაძე და ო. ქაჯაია პარტიის თბილისის კომიტეტის ერთ-ერთ მდივანთან დაიბარეს და როგორც ო. ქაჯაია ამბობდა, ორივე მაგრად **“შეახურეს”**. ო. ქაჯაიასათვის უთქვამთ: ეს არის უკანასკნელი გაფრთხილება, მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალეთ.

ყველაფერი ეს ლ. ბერიას წინააღმდეგ იყო მოგონილი და გამიზნული, რომ მისთვის გზა გადაეკეტათ.

გ. ხუფენია, თავის ნაშრომში იკონებს რა 1952-1953 წლებში საქართველოს უშიშროების მინისტრ, გენერალ ალექსანდრე კოჭლავაშვილთან (ამ ნაშრომის ავტორს ჰქონდა ბედნიერება წლების განმავლობაში მასთან ერთად ერთ ოთახში ყოფილიყო **“იმელის”** შენობაში, ემუშავა მასთან – ამ უნიჭიერეს, უსპეტაკეს, უკეთილშობილეს, უადრესად თავმდაბალ პიროვნებასთან, ორი წიგნი თანაავტორობითაც გვაქვს გამოცემული, ჰყავდა შესანიშნავი ნეულე, ქალბატონი მარგო, კარგი ჟურნალისტი და მწერალი) შეხვედრას, წერს: **“ყოველივე ის, რაც იმჟამად ხდებოდა, წმინდა წყლის შოიანიზმის გაფურჩქნის დასაწყისი იყო და, რაც სტალინის მიმართ ხდებოდა, მისი არარსული წარმოშობიდან გამომდინარეობს. მეორე... ლავრენტი ბერიას მიმართ შეთქმულთა, იგივე ანტისტალინისტურმა ჯგუფმა, არარსებულ ცრუმასალების შეკოწიწებით მიაღწიეს მის ღალატით მკვლელობას, რა თქმა უნდა, ამ პროცესსაც ძირითადად ქართველი ერის მიმართ ველიკორუსული**

შოიანიზმის საფუძველი უძევს”. უშიშროების მინისტრს, გენერალ ალექსანდრე კოჭლავაშვილს დაევალი ე.წ. მეგრულთა საქმის შესწავლა.

ის წერს: **“საგამოძიებო მასალის ღრმად შესწავლამ დაბეჯითებით დამარწმუნა, რომ მეგრულთა ანტიპარტიული ჯგუფის მიმართ წაყენებული ბრალდება – სახელმწიფო ღალატის შესახებ – სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მაგრამ რეალური მდგომარეობის მიტანა ი. სტალინთან რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის აკაკი მგელაძის გვერდის ავლით ყოველად შეუძლებელი იყო, რადგან უშუალოდ ა. მგელაძის და მის თანამზრახველთან მიერ იყო ასეთი ბრალდება ბელადთან დასმენილი. მაგრამ ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ გამომიყვანა მდგომარეობიდან. საქმე შემდგომში გახლდათ: “მინისტრად დანიშნვიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ პირადად ი. სტალინმა დამირეკა სამსახურში... და ბალიან რბილ ფორმებში მელაპარაკა. მის გარდაცვალებამდე, ი. სტალინთან, მისივე ინიციატივით, სულ ოთხჯერ მქონდა საუბარი. აქედან, ჩვენს შორის უკანასკნელი შედეგა 1953 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში”.** ალექსანდრე კოჭლავაშვილი აგრძელებს: **“სტალინი ჩემგან რამდენჯერმე მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ რამდენადმე დარწმუნდა, რომ “მეგრული ანტიპარტიული საქმიანობა”, რომელსაც ასე დაბეჯითებით უმტკიცებენ მას საქართველოს პარტიული ელიტის წარმომადგენლები, საეჭვო მხარეებს შეიცავდა”. იოსებ სტალინს, ა. კოჭლავაშვილისათვის დაუვალებია მეგრულთა საქმის ყველა მასალა გაგზავნა ცენტრალური კომიტეტის სახელზე და არა მისი – ი. სტალინის სახელზე.**

თუ როგორი მართებული “დოკუმენტი” იყო შედგენილი, იქიდანაც ჩანს, რომ მისი (მას ყველა პარტიულ ორგანიზაციაში კითხულობდნენ, იხილავდნენ) განხილვა თბილისისა და მთელი საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში, თითქმის სანახევროდ დამთავრებული იყო, რომ **“ზემოთა”** მოვიდა განკარგულება, მეგრულ **“დამნაშავეთა”** ნაციონალისტური ჯგუფის სიიდან ამოვლით (კრებაზე არ წავეითხათ) მიტროფანე კუჭავას გვარი. კოჭლავაშვილი ამბობს: **“ეს საქმე, ჩემი რწმენით, გარკვეულ კავშირში იმყოფება ი. სტალინის მოულოდნელ გარდაცვალებასთან. საქმე იმაში გახლავთ, რომ დოკუმენტში, რომელიც სტალინის დაგვლებით შეგადგინეს... ჩვენი მხრიდან რაიმე დასკვნა არ იყო გამოტანილი, მაგრამ მასში ჩადებული ფაქტობრივი მასალები თავად გამორიცხავდნენ დაპატიმრებულთა მხრიდან სახელმწიფოს ღალატის კონკრეტულ ბრალდებებს”...** აღნიშნული მასალები კრებულში ჩვენს მიერ გაგზავნილ იქნა თებერვლის (1953 წ.) ბოლო რიცხვებში, ამდენად, ჩვენი ვარაუდით ეს დოკუმენტი ი. სტალინს უნდა მიეღო სიკვდილის წინა დღეებში. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ იგი საყურადღებოა განსაკუთრებით იმი-

თაც, თუ როდის შეაკოწიწეს ჩვენ თანამემამულეთა გარკვეულმა პირებმა აკაკი მგელაძის ხელმძღვანელობით საქმე “მეგრული ანტიპარტიული ჯგუფის” მტრული სახელმწიფოებრივი ღალატის შესახებ, ასე დაბეჯითებით რომ უმტკიცებენ ბელადს და შეცდომაში შეჰყავთ იგი, და რომელიც თანდათან ძალას ჰკარგავდა; უფრო მეტიც, ამით ი.ბ. სტალინი ხალხისა და პოლიტიკოსთა წინაშე მოტყუებული და შეურაცხყოფილი გამოდგმოდა. ამ ანალიზიდან გამომდინარე უნდა ვიწმუნოთ, რომ საქმის ამგვარ მოულოდნელ შემობრუნებას არ შეიძლებოდა ი.ბ. სტალინი მწვავე ფსიქოლოგიური დეღვა არ გამოეწვია და ეს დასტურდება კიდევ იმითაც, რომ პირველ მარტს ი.ბ. სტალინი რატომღაც გაღიზიანებული გაემგზავრა კუნცევის აგარაკზე, ხოლო შემდეგ, რაც მოხდა, მეორე დღესვე ყველასათვის ცნობილი ფაქტია. ასე რომ ი.ბ. სტალინის მოულოდნელ გარდაცვალებაში, ჩვენ ქართველები გარკვეულ მიზეზებში ვიმყოფებით”.

1970-1980 წლებში გამოვიდა **“საქართველოს ისტორიის ნარკვევები”** რვა ტომი. ამ პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე იყო იური კაჭარავა, ხოლო ამ განყოფილებასთან არსებული საქართველოს ქალაქების, სოფლების, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ისტორიის შესწავლელი განყოფილების (ქვეგანყოფილების) გამგე – პროფესორი ალექსანდრე (საშა) კოჭლავაშვილი. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მერვე (უკანასკნელი – 1.100 გვერდიანი ნაშრომი) ტომი გამოსაცემად მზად იყო 1979 წლის შუა პერიოდისათვის, ტომის რედაქტორები იყვნენ პროფესორები ნიკოლოზ სტურუა და მაცყვალა ნათელაძე. გამოსაცემად გამზადებული ტომის რეცენზირება დაევა პროფესორ ალექსანდრე კოჭლავაშვილს, რომელიც ნაშრომის ერთ-ერთი თანაავტორიც იყო. რატომღაც საჭირო შეიქმნა ამ მრავალგვერდიანი ნაშრომის სასწრაფოდ რეცენზირება. ეს ა. კოჭლავაშვილზე უკეთესად თითქმის არავის შეეძლო. სწორედ ამ დავალებას მიღების დღეს ა. კოჭლავაშვილი ჩვენს სამუშაო ოთახში მესაუბრა (შევეცადე ზუსტად აღმეგინა): **“ჩემი კლიმენტი, მეგრულთა საქმე თავიდან ბოლომდე შეკოწიწებული იყო ლავრენტი ბერიასა და სამეგრელოს მოწინააღმდეგეთა მიერ. რამდენადაც შეგვეძლო, ჩემმა თანამშრომლებმა და მე საქმე შევიწავლეთ და მოპოვეთ მასალები ი.ბ. სტალინის გაუგზავნეთ, მაგრამ ჩანს, ყველაფერი დაგვიანებული იყო. ჩემმა ერთმა ნიჭიერმა თანამშრომელმა, რომელსაც ყველაფერში ვენდობოდი და რომელთან ერთად ვახდენდი ი. სტალინთან გასაგზავნი საბუთების რედაქტირებას, მითხრა: “ჩანს სტალინმა ჩვენს მიერ გაგზავნილი საქმისგან გაიგო, რომ მეგრულთა ე.წ. საქმე ხელმოწერად გაკეთდა, რომ ბელადი მოატყუეს,**

შეცდომაში შეიყვანეს და ამით შეურაცხყოფა მიაყენეს, აბა რატომ მოითხოვა საქმეები მასთან კი არა, ცენტრალური კომიტეტში გაგვეგზავნა? ბელადი ამას არავის აპატიებს, არც პოლიტიკოსებს, პირველ რიგში მ. მალენკოვსა და ნ. ხრუშჩოვს, ასევე საქართველოში ცენტრალური კომიტეტის არც ბელადსა და არც ახალ ხელმძღვანელობას. მალენკოვსა და ხრუშჩოვს ეს ყველაფერი კარგად ექნებათ გაცნობიერებული და შეიძლება საქმე დასწრებზეც მივიდეს, მაგრამ ბელადს ისინი ვერ აჯობებენ”-ო.

ა. კოჭლავაშვილმა დაამატა, რომ თვითონაც ასე ფიქრობდა, მაგრამ არაფრით შეგვეძლო საქმეში ჩარევა, ბელადს ვერაფერს ვაცნობდითო. ვაი, რომ უარესობისკენ წავიდა საქმე და, თუ არ ვცდები, ბელადი ამ საქმის გამოც დაიღუპა, მას ისედაც უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმა ჰქონდა მიღებული იმის გამო, რომ მოატყუეს.

ალექსანდრე კოჭლავაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა: ამას წერილობით ვერ დავტოვებ, თქვენ ყველაფერი გითხარით (აღრვე ბევრჯერ ვქონია ამ საკითხზე საუბარი), კიდევ ერთ-ორ კაცს ვებრძვი, გაივლის ყოველი, შეიძლება ორი ათეული წელიც და თქვენ ყველაფერი შეიძლება გამოაქვეყნოთ. მე ხანდაზმული ვარ და რა ვიცი, რა დროს რა მოხდებაო. ვაი, რომ ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, სამი დღის შემდეგ ის ცოცხალი აღარ იყო. საქართველოს ისტორიის ნარკვევების ათასგვერდიანი ნაშრომი ორი უძილო დამის განმავლობაში წაუკითხავს, რეცენზია მაგიდაზე დაეტოვებინა. წიგნი წარმოებას გადაეცა 1979 წლის იანვარში, ხოლო დასაბჭვლად ხელმოწერილი იყო 1980 წლის აპრილის დასაწყისში. წიგნის გამოცემის ზეიმს პროფესორი ა. კოჭლავაშვილი ვერ დაესწრო.

უშიშროების მინისტრად დანიშნამდე ა. კოჭლავაშვილი მუშაობდა სინოპში – სოხუმის სამეცნიერო კვლევითი (ფიზიკოტექნიკური) ინსტიტუტის დირექტორად. ინსტიტუტი ატომური ენერჯეტიკის საკითხებზე მუშაობდა. მე ინსტიტუტის დამთავრებისთანავე (1947 წლის ივნისი) ერთი წელი ვმუშაობდი სოხუმის პარტიის საქალაქო კომიტეტში ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად და მიკვირდა, რომ გენერალ-მაიორი ა. კოჭლავაშვილი თითქმის ყოველდღე, დღის მეორე ნახევარში დადიოდა პარტიკაბინეტის ბიბლიოთეკაში, წიგნებში იყო თავნატრული და ყველა ჩემს ლექციასაც ესწრებოდა, თუმცა, არც ერთ შეკითხვას არ მისვამდა. მასზე ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ წარმოდგენილი მაქვს ამ უნიჭიერესმა, შეამაღლებულმა პიროვნებამ რა დეტალურად გამოიკვლია ე.წ. მეგრულთა საქმე და რა დიდი გავლენა მოუხდენია სტალინზე, რომელმაც შეხედულება კი შეიცვალა, მაგრამ შესაფერისი ზომების მიღება ვერ მოასწრო. ცხადია, გონებიდან არასოდეს ამოიშლება ამ ნათელი კაცის კეთილშობილი სახე.

(გაგრძელება იქნება)

ამერიკამ მოულოდნელად შეიტყო, როგორ მოულოდნელად მილიონებს 30-ზე მეტი კონგრესმენი და მათი აპარატების თანამშრომლები. ეს ამბავი კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის ეთიკის კომიტეტის გამოძიებით დადგინდა. ამ კომიტეტის 22-გვერდიანი მოხსენება, რომელიც სამსახურებრივი სარგებლობისთვის იყო გათვალისწინებული, შეცდომით ინტერნეტში მოხვდა და ვიდაცამ ის გახუთ **„ვაშინგტონ პოსტს“** გადაუგზავნა. ამ დოკუმენტიდან და, ასევე, სხვა სტრუქტურის მასალებიდან ნათელია, რომ ეთიკის ბიურო ყველაზე მეტად შემოფოტებულია პენტაგონის ხარჯების მაკონტროლებელი ქვეკომიტეტის თანამშრომლების მოქმედებებით. ეჭვმიტანილთა არასასიამოვნო ნუსხაში მოხვდა ქვეკომიტეტის ხელმძღვანელი ჯონ მურტა და მისი რამდენიმე თანაპარტიული: ნორმ დიქსი (ვაშინგტონის შტატიდან), პიტერ ვისლოსკი (ინდიანას შტატიდან), ჯეიმს მორანი (ინდიანაიდან) და სხვები.

მილიონერი კანონმდებლები

ყველა ეს პირი ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელს უწყობდა 200 მლნ დოლარზე მეტის გამოყოფას საკონტრაქტულ იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ლობისტები კანტორის **„პი-ემ-ვი გრუპის“** კლიენტები იყვნენ. კომპანიას კი, თავის მხრივ, სოლიდური შემოწირულობები შეჰქონდა კანონმდებელთა საარჩევნო ფონდში. ასე მაგალითად, 77 წლის ჯონ მურტამ 2002, 2004 და 2006 წლების საარჩევნო ციკლებისას 2,37 მლნ დოლარი მიიღო, ხოლო 2007 და 2008 წლებში თითო მილიონი ერთობ ვისლოსკისა და მორანს. სწორედ მაშინ დაინტერესდა ლობისტური ფირმის საქმიანობით გამოძიების ფედერალური ბიურო. ლობისტმა კომპანიამ სამართალდამცავი ორგანიზაციის რეიდებისა და კომპანიის დამფუძნებელთა შორის გამართული დავის შემდეგ, 2008 წლის მაისში, არსებობა შეწყვიტა, თუმცა, საქმის განხილვა გრძელდება.

წელს ივნისში ეთიკის კომიტეტმა ეუსტიციის სამინისტროს, გვმ-სა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს განაცხადი გაუგზავნა მოთხოვნით, კონგრესმენ ჯეიმს პარმანის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები მოგვაწოდეთო. ჯეიმს პარმანი 7-ჯერ აირჩიეს კონგრესში, მაგრამ ის დახვეწის კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტზე ოცნებობდა და იმედოვნებდა, რომ ამაში ებრაული ღობე დაეხმარებოდა და მის კანდიდატურას სპიკერ ნენსი პელოსს შესთავაზებდა. ამის სანაცვლოდ, კონგრესმენი მზად იყო, ორი დაკავებული ისრაელელი ავანტის ბედის შემსუბუქებაზე ეხრუნა. 64 წლის კანონმდებელს (ის წარმომადგენლობითი პალატის ყველაზე მდიდარი დეპუტატია, რომლის ქონება ფასიან ქალაქებში 160 მლნ დოლარად არის შეფასებული) არაერთხელ უთქვამს, რომ ეთიკის კომიტეტიდან მასთან ამ თემაზე

არასდროს არავის არ უსაუბრია. ეს პირველი სკანდალი როდია კონგრესში. შარშან კომიტეტის თვალთახედვის არეში ფინანსური კომიტეტის წევრი მაქსინა უოტერსიაც მოხვდა. ის მასაწუსეტის ერთ-ერთი ბანკისთვის მთავრობის მხრიდან ფინანსური დახმარების აღმოჩენაზე ზრუნავდა. ამ ბანკში კი მისი ქმარი 250 000 დოლარის ღირებულების აქციებს ფლობდა. ბანკმა უოტერსის დახმარებით 12,1 მლნ დოლარი მიიღო სახელმწიფო ხაზინიდან. ეთიკური გამოძიებები აშშ კონგრესში იშვიათობა არ არის, თუმცა ისინი ყოველთვის კონფიდენციალურად მიმდინარეობს, რადგან ეთიკის კომიტეტი ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული სტრუქტურაა: მისი წევრები და შტატები თანამშრომლები ხელწერილი დებენ ნებისმიერი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაზე.

საკ. ინფორმ.

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო

მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი



გასაოცარი იქნებოდა, ყველაფერი ეს ასე რომ არ მომხდარიყო! მით უმეტეს, რომ ახმეროვის აგენტურის ნაწილი "ლეგალურ" რეზიდენტურას გადასცეს, ნაწილი კი დააკონსერვეს, რაც იმ დროისათვის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ.

დაიხ, მაშინ, საგარეო დაზვერვისათვის ურთულესი სიტუაციის პირობებში, უამრავ კადრის მუშაკს (მაგრამ არა ყველას) გამოუცხადეს პოლიტიკური უნდობლობა. ბერია იმისი დაადანაშაულა კიდევ, რაზეც სწორად კიდევ იგივე პაველოვი. მაგრამ, ლავრენტი ბერიას მხრიდან ეს ხომ ჭკვიანური და ზუსტი ფსიქოლოგიური სელა იყო. იგი უკვე მაშინ ერეკვოდა ადამიანებში შესანიშნავად. იგი ხომ კონტრამხედველად იყო და, ამავე დროს... პარტიული მუშაკი. მას არწივის ხედვა ჰქონდა და იოლად ხსნიდა ადამიანის ბუნებას... რა რაც მთავარია, ადამიანის ხასიათობრივი მონაცემები შეეძლო ამოეცნო მისი ანკეტის გაცნობით.

ასე რომ, "ანკეტის გარეშე" იგი ამდენ ხალხთან ვერ იკონტაქტებდა. და ეს გახლდათ არა მისი უბრალო ცნობის-მოყვარეობა, არამედ პროფესიონალის აღლო, რაც მზვერავების გაცნობის გარდა გულისხმობდა მათი ფსიქოლოგიური პორტრეტის ზუსტად დადგენასაც.

საკანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვში დაბრუნებულმა ყველა მზვერავმა ბრწყინვალედ გაიარა ეს გამოცდა! და რაც მთავარია, დარწმუნდა რა თავისი კადრის მუშაკების ფსიქოლოგიურ სიმტკიცესა და სამშობლოსადმი ერთგულებაში, ბერია იმისი კვლავ დაუბრუნა საყვარელ საქმეს. იგივე ახმეროვმა, უკვე ომის დაწყების შემდეგ, მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დაჯავლება და მეუღლესთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

ის, რომ ბერიას შემდგომში შეეძლო დაეფიქსირებინა საკუთარი უნდობლობა საგარეო დაზვერვის რომელიმე თანამშრომლის მიმართ, ეს უკვე მის მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს. იგი ხომ კარგად იცნობდა საკუთარ არაღეუგალებს — ისინი ზოგჯერ თავისი პრიმალიზმზე მეტ ჭირვეულობასაც კი ამჟღავნებდნენ. ამავე დროს, მათაც ხომ არანაკლები სამსახიობო მონაცემები გააჩნდათ.

და მას შემდეგ, რაც ბერია სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის დაზვერვასა და კონტრდაზვერვას, ამ უწყებებმა მნიშვნელოვანი შედეგები მიაღწიეს და აამაღლეს ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში. ყველანი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ დაზვერვის გამართულ საქმიანობას უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის.

დაიხ, ფაქტია, რომ უამრავი სადაზვერვო წყარო (თუნდაც "კემბრიჯის ხუთეული") ჯერ კიდევ ბერიას შინაგარეო უწყებებში მოსვლამდე იქნა ორგანიზებული.

დაიხ, ფაქტია, უამრავი გამოცდილი არაღეუგალი მზვერავი ჯერ კიდევ ბერიას შინაგარეო უწყებებში მოსვლამდე იქნა აღზრდილი და მწიბრში ჩაყენებული.

და მხოლოდ ლავრენტი პაველს ძე ბერიამ მოახერხა გარკვეულიყო იმ "სადაზვერვო ორგანიზაციაში", რაც მის მოსვლამდე სუფევდა სადაზვერვო სისტემაში (ამის დასტურად თუნდაც კრიტიკის მაგალითი კმარა), და რაც მთავარია,

შექმნა მყარი ნიადაგი დაზვერვის შეუფერხებელი მუშაობისათვის. დაზვერვისათვის დაიწყო შესაბამისი კადრების ძებნა, ხარისხობრივად შესაძენველად გაუმჯობესდა მზვერავთა მომზადების საქმე შინაგარეო სპეციალურ სსსწავლებლებში. და არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ლავრენტი ბერიას წყალობით შეიქმნა წმინდა წყლის საბჭოთა სადაზვერვო სისტემა, რომელიც არ იყო გამსჭვალული მხოლოდ კომინტერნის სულისკვეთებით. ახლა უკვე დაზვერვის იდეური კადრებიც კი რეალურად მუშაობდნენ საბჭოთა სამშობლოზე და არა მხოლოდ რევოლუციის მოსაწყობად.

სხვა საქმეა, რომ მის შემდგომ მინისტრ-პარტოკრატ ივანტიევის მიერ დაზვერვის სისტემის პარტიული ხაზით დაწინაურებულიებით შეესებამ გამოიწვია ამ დარგის სრული დეგრადაცია. განსაკუთრებით ბერიას საქმიდან ჩამოცილების შემდგომ... საბჭოთა სადაზვერვო სისტემის რღვევა დაიწყო 1954 წელს, როცა იანვარში ამერიკელთა მხარეს გადავიდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტოკიოს რეზიდენტურის თანამშრომელი იური რასტვოროვი.

1954 წლის 18 თებერვალს, გერმანიაში, ამერიკის ხელისუფლებას ჩაბარდა შსს-ს კაპიტანი ნიკოლოზ ხოსლოვი.

ამავე წელს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში აღიარებით გამოცხადდა მაიორი პეტრე დერიაბინი. იგი გახლდათ ძირძველი ციხიბრელი, ფრონტზე ოთხჯონის დატრიალი, რომელიც ორმოცდაათიან წლებში სამთავრობო დაცვის სისტემაში მსახურობდა და კარგად იცოდა თუ კრემლში ვინ რას წარმოადგენდა.

1954 წლის აპრილში, თავის რეზიდენტურის თანამშრომელ მეუღლესთან ერთად ავსტრალიაში დარჩა კანბერაში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის რეზიდენტ ვლადიმერ პეტროვი. მან სსრკ შინაგარეო უწყებების განყოფილებაში სამსახური ჯერ კიდევ 1933 წელს დაიწყო და მისი გაქცევა პირდაპირ უკავშირდებოდა ბერიას დაღუპვას. დაიხ, უდარებდნენ რა ერთმანეთს ბერიასა და ხრუშჩოვის გარემოცვას, გამოცდილი ჩეკისტები უცვლად დარწმუნდნენ, რომ ხრუშჩოვის უვიცოთა ხელში მათი საქმე სრულიად უპერსპექტივო ჩანდა.

50-იანი წლების დასასრულამდე ეს ტენდენცია გრძელდებოდა. ამასთან, ნიშნულბლივია, რომ დერიაბინი მიანიშნებდა ანატოლი გოლიცინზე, როგორც პოტენციურ მოლაღატეზე, რომელიც 1961 წელს ფინეთიდან გაიქცა ამერიკაში. გაქცევის მიზეზად მან უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში გამოყვებული უსამართლობა და მუდმივი ინტრიგები დაასახელა.

საბჭოთა დაზვერვამ შესანიშნავად გაუძლო დიდ სამამულო ომს, მაგრამ მან ვედარ გაუძლო ხრუშჩოველთა შემოტევას...

თაზი 15

დაზვერვა სტალინისათვის და ავტორიტეტი მისაზღვრევისათვის

1941 წლიდან სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკურმა გამომცემლობამ დაიწყო კალენდარი-ცნობარის სერიათა ბეჭდვა, რომელთა შორის უპირველესი სწორედ 1941 წლის ცნობარი-კალენდარია.

გადაფურცლავ თუ არა პირველ გვერდს, იწყება ასობით ადამიანის ბიოგრაფია, რომელთა შორის იხილავთ ალექსანდრე კალენდარი-ცნობარის სერიათა ბეჭდვა, რომელთა შორის უპირველესი სწორედ 1941 წლის ცნობარი-კალენდარია. გადაფურცლავ თუ არა პირველ გვერდს, იწყება ასობით ადამიანის ბიოგრაფია, რომელთა შორის იხილავთ ალექსანდრე კალენდარი-ცნობარის სერიათა ბეჭდვა, რომელთა შორის უპირველესი სწორედ 1941 წლის ცნობარი-კალენდარია.

"ლავრენტი პაველს ძე ბერია, დაიბადა 1899 წლის 29 მარტს, სოფელ მერხელში (საქართველოს სსრ), ღარიბი გლეხის ოჯახში. ბოლშევიკურ პარტიაში ბერია შევიდა 1917 წლის მარტში. 1918-1920 წლებში, როცა კავკასია მენშევიკებსა და მუსავატელებს ჰქონდათ აღებული, ბერია აქტიურ იტაკევეში საქმიანობას აწარმოებდა ბაქოსა და თბილისში. 1920 წელს ბერია საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა. სერგეი მირონის ძე კიროვის დათინებული მოთხოვნით, რომელიც მაშინ საბჭოთა რუსეთის სრულყოფილი წარმომადგენელი გახლდათ მენშევიკურ საქართველოში, ბერია გადაგზავნილი იქნა საბჭოთა აზერბაიჯანში. 1921 წლიდან ბერია საბჭოთა დაზვერვაში მუშაობს ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1931 წლის ნოემბრიდან საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია, 1932 წლიდან კი სკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელად მუშაობისას ბერიამ გამოაგლინა ჭეშმარიტად მეომრული სულისკვეთება — იგი შეურთებელი იყო ბოლშევიკური იდეებისადმი მტრულად განწყობილი პირების მიმართ და განუზრუნვლად ატარებდა პარტიის ხაზს. დიდი როლი ეკუთვნის ლავრენტი ბერიას ბოლშევიკური ისტორიის გამყალებელ ტროცკის-ბუხარინელთა მხილებისა და დამარცხების საქმეში. მისი ცნობილი წიგნი "ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის ისტორიის საკითხებისადმი" ფასდაუდებელი საუნჯეა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში.

1938 წლის დასასრულიდან ამხანაგი ბერია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრია, 1939 წლის მარტიდან არის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. ამხანაგი ბერია არის საკავშირო კომპარტიის (ბ) ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და სტალინის მოსწავლე და უახლოესი თანამებრძოლი.

საბრძოლო და რევოლუციური დამსახურებებისათვის ბერია დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, ლენინის ორდენით და საქართველოსა და აზერბაიჯანის შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ამხანაგი ბერია არის სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი."

მაგრამ კალენდრის ბიოგრაფიულ ცნობარში (მე მისი სრული ტექსტის ციტირება მოვახდინე) არ არის განმარტებული, რომ, მიუხედავად იმისა, რომ 1938 წლის დასასრულამდე ბერია კი იყო სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, მაგრამ 1941 წლის თებერვლიდან იგი უკვე თითქმის აღარ იყო ის სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, როგორც იყო 1941 წლის 3 თებერვლამდე.

უფრო მეტიც, იგი საერთოდ აღარ იყო ის სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

მისი სახელმწიფო მოვალეობათა წრე თანდათან სცილდებოდა საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფის სფეროს. 1939 წლის 22 მარტის ცქპას პლენუმზე ბერია აირჩიეს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. და აქ უკვე გამოიკვეთა მისი როლი საერთო საკავშირო აღმშენებლობის ურთულეს პროცესებში.

გარდა ამისა, მისი ახალი რევალიები მეკეთრად აისახა ბერიას ხელმძღვანელობით მოქმედი უწყების რეორგანიზაციაში. 1941 წლის 30 იანვარს მას ანიჭებენ სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის საავანგებო წოდებას, რაც საბჭოთა კავშირის მარშლის წოდების ექვივალენტურია (მას შემდეგ რაც 1945 წლის ექვს

იენისს გაუქმდა სხვაობა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სხვა სამხედრო უწყებების ოფიცერთა შორის, ბერია პირდაპირ მარშლის სამხრეებს ატარებდა).

უკვე 1941 წლის 3 თებერვალს ბერიას ნიშნავენ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და შეთავსებით უნარჩუნებენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობას. და 1941 წლის 3 თებერვალსვე სსრკ შინსახკომს ცალკე სახალხო კომისარიატად გამოეყო სახელმწიფო უშიშროების სამსახური.

ახალი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შედიოდა ყველა უწინდელი უწყება, გარდა სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოსა და საგარეო დაზვერვისა. ამრიგად, ბერიას განკარგულებაში დარჩა "სახალხო მუშურნობრივი" სამმართველოები, პენიტენციარული სისტემა, მილიცია, სასახლდრო, შინაგანი და საბადრავო ჯარები, ასევე სახანძრო დაცვის სამსახური და დაცვის გასამხედროებული უწყება, მმჩის ბიუროები, ცენტრალური ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებ "დინამო".

უშიშროების მთავარი სამმართველოს ყველა სტრუქტურა უშიშროების სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში გადავიდა. სამხედრო კონტრდაზვერვა და მისი განსაკუთრებული სამსახურები თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტსა და სამხედრო-სახლგაო ძალებს დაემორჩილნენ. ჯერ კიდევ მშვიდობიანი საბჭოთა კავშირისა და ომში ჩათრეული ევროპის ფონზე ამგვარი რეორგანიზაცია სავსებით ლოგიკური გახლდათ.

"წმინდა წყლის" ჩეკისტებმა მიიღეს იმის შესაძლებლობა, რომ მთელი ძალი-ისხმევა მიემართათ დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ვრცელი ინფორმაციების ანალიზისა და მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად.

"განსაკუთრებული განყოფილების" მუშაკები დაემორჩილნენ არმიისა და ფლოტის ხელმძღვანელობას და ისინი უკვე შეიარაღებული ძალების საყრდენ მექანიზმად მოიაზრებოდნენ და არა შინსახკომის "შეთვალყურებად".

ხოლო, ბერია? მას, როგორც სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, შინსახკომის გარდა საქმეები ისედაც თავსაყრელი ჰქონდა.

1941 წლიდან იგი, ამავედროულად, კურირებას უწევს ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობის და სტყეო სახალხო კომისარიატებს. მაგრამ, მის "პირითად" სახალხო კომისარიატში სრულიად ახალ თვისებებს იძენს სახელმწიფო და სამრეწველო ობიექტების, სარკინიგზო კვანძების, ბანკების, ავროდრომების და სატელეფონო სადგურების დაცვა... აუცილებელი იყო სახელმწიფო საზღვრების დაცვის გაძლიერება, ახალ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა...

სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი კი მას უცხო ხალხისათვის არ ჩაუბარებია. სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარად დაინიშნა 46 წლის ვსევილოდ მერკულოვი — ბერიას თანამებრძოლი შინსახკომისა და საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებში, ჯერ კიდევ 1922 წლიდან. თავის მოგონებებში სულბლატოვი ხაზს უსვამს მერკულოვის "თავაზიანობასა და სიმშვიდეს". მაგრამ, ჩვენ გვაქვს მისი უფრო ვრცელი დახასიათება — ბარიკადის მეორე მხრიდან.

1953 წელს დასავლეთში გამოცაა წიგნი "ისინი, ვინც თავისუფლება აირჩია", რომლის ავტორია უნგრელი ექს-დიპლომატი ნიკოლაშა ნიარადი "Mu Rindside seat in Moscow", რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც "ჩემი ორომტრიალი მოსკოვში".

მებრუღი კოეზიის რაფსოდია

გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდიშა).

ნოსადიქი გაგმომგანუ:
– ზაკვილ ბედი დონინათია! –
ასე ტყობას ქეკამყუნი,
მითინც ვაგვაგონათია;

ოჭკურაფუთ მივანჭეთი
გვეჯემ ჭიშკარც, ჟვერ-ჟვერითი,
ჯოლორამო ქაწმაზადეს,
ნუზუთუ დო ჟრერჟელითი.

ნოსადიმ კი გამიხმო და
მითხრა: ბედი მოგინათლე,
ახლა ჩუმად გამომყევი,
რომ არავინ არ გაიგოს.

გზა მოვჭერით. როგორც იქნა,
მივადექით გვეჯეს ჭიშკარს,
ძაღლთან ერთად შეგვეგებენ
ნაძვითა სანათებლით.

სქან ოსქეებურ შონიშ ცირა
ემერ ხე დო მოღართია,
გვეჯემ ყუზა მუთა მეძუ.–
აშო გამინპონათია.

ნაგვალ ოჩი გეიობუნეს,–
ყუჯ მიდელუ ბერჯელელითი.
გვეჯემ ირო შინელი რდუ
გურით – სუმარც მერძელი რდი!

შენი შესაფერი ცირა
აქვე არის, წამოდიო,
გვეჯეს სახლში მივიდეთ და
აქეთ წამოვიყვანოთო.

თხა დაჰკლეს ნაიაღადარი –
ბღავილით ყური წაიღო
სტუმარ-მასპინძლობით ცნობილი
გვეჯეს ყველა პატივს სცემდა.

მეურთუ დო მიოცქვანცუ
შონიშ ცირას, ზესნახესი:
– თუთა მინატრუნია,
ნანა-სქუა, იშ სახესი.

გემნანჯესგ შკა კარი დო
გეგნმობირეს გვაშაყანი,–
გურქ ქომბირგ ხიოლითუ,
ქეყუნუ შურქუ ბანი!

მივიღვართ და გზა-გზა აქებს
სვანის ცირას მზეთუნახავს,
თვით მთვარეც კი შეჰნატრისო
მის სახეს და სილამაზეს.

ჰა, გაიღო შუა კარი,
შემოვიდა გვაშაყანი...
გულმა იწყო სიმღერა და
ააყოლა სულმაც ბანი...

თით, სქანორო, ომბოლი რე,
ჰა, ბეჭედი, ქუმად ხესი...
დახე ვარა კინჩხ მიტახუ
ულაბახე ოლაგესი.

შქაშ კითი ვამიწყუნუაფუ
(ეს ქუეორდი მინარჩქვანი)
გვეჯემ ჩხვერცუ გამორღვანდეს –
ქილაში დო ბაშლაყამი!

შვილო, ისიც ობოლია,
ჰა, ბეჭედი გაუკეთე,
ლამის ფეხი მოიტეხა
ულაბახე ოლაგეზე.

გავუკეთე ბეჭედი და
(მიჩვეული ვიყავ ამას)
ჩხვერს გვაყრიდა თავზე გვეჯემ
ქილვამ და ბაშლაყიანი.

– მედანიშა მიქ მიყონუ? –
გოუკვირე ნოსადისუ, –
ლუბეცალო ტიბუსუ დო
ნინა ჰამოთ მოზადილცუ.

უკულ წორო ქუდომტესი, –
წყორითია ართიანი.
გვაშა-მაქტ, ქუმუფერე
(ვართ მა ბზოჯუნდ მურზაყანი).

– სოფელში ვინ მოიყვანა?
გაკვირვებით შევეკითხე.
დედასავით უბეთბილ და
სიკეთით და მადლით სავსეს.

და დაგვტოვეს მერე მარტო.
შეავსეთო ერთმანეთი.
– გვაშა-მეთქი, მოვეფერე
(არც მე ვიყავ მურზაყანი).

– გვეჯემ ჩილიშ დასქუა რე,
ოხორანა ყორათისუ;
სქან ნოსურ ქიშმადურუ,
მუნორძელი ყორან თისუ!

მეწონუ დო გომიძიცუ,
ვამცალებუ დიდი ხანი –
კირბცალო ქიფხუტოლე:
– მა აგაფა, სი – ერქვანი!..

– გვეჯეს ცოლის დისშვილია
წარმოშობით – ყორათიდან,
რომ გაიგებს შენს ყოფილ ცოლს,
აღბათ გული გაუსკდება.

მომეწონა, გამიცინა,
არ მიცლია დიდი ხანი
ჩავიხუტე კრავით და
– “მე – კავი, და – შენ ერქვანი”.

ვაჟა-ფშაველა

ვიმეორებთ აქტუალურ თემას

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი



ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტი. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო ადამიანთა ვინაობის, კონტინენტის და ზნეობის, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვისა საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდა საჭიროა, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფს; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძაღლივით, თანამომკმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონიერული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოვდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამომკმეთა იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიანია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც კი სხვის სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგებო და შესაფერებელია ერისთვის ნიადაგზე. „**ჰამლეტი**“, „**მეფე ლირით**“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივიღვართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „**ვეფხისტყაოსნით**“ და ისე

გაიგებს მას, რაც უნდა კარგოთარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეშვეობით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის აკვარგე, მოსაქეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჰკავთ-მყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაყენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა პაევისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე – საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ემაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმართებს პატრიოტთან, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას დებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიანია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერაინ. თავის სოფელთა სრულიად უმნიშვნელო სხეებისაგან განმასხვავებული საუბრის კილოც კი შევნიერებად მიანია. თავისი სოფელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო აღვილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულია და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმოიდგენია ადამიანი სრულის ჰკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე-რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჰკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფხსშებოჭილი. სამოწვალო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსაჰე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიინ-

წევს თავის სამშობლოდ... პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჰკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჰკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვეხმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუძინეველად დიდი მტერის კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. დმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძაღლივით განვიტარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

სახელმწიფო პოლიტიკის შეცდომის მსხვერპლი ვართ და ახლა ვეზიდებით

უგულავა გაკვირვებული მისმენდა, თქვა, - დაუჯერებელია, ნუთუ ეს სიმართლეაო

შეიძლება, სიბნელეში ვცხოვრობთ; ათასში ერთხელ თუ გვეღირსება სინათლე. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამო დევნილი მოსახლეობა მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყანას. ყველაზე მეტი სირთულე კი მათთვის თავშესაფრის პოვნა აღმოჩნდა. უსახლკაროდ დარჩენილებმა თავი სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებათა შენობებს შეაფარეს, თუმცა პრობლემები ამით არ ამოწურულა. მოუწესრიგებელ შენობებში თავშეფარებული დევნილები დღესაც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. ვინც შეძლო და სახელმწიფოს მიაწვდინა ხმა, მათი მდგომარეობა თითქოს სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, დევნილთა დიდი ნაწილი კვლავ საშინელ დღეშია.

ვარკეთილის მეურნეობაში, თვალტრექლიდის №10-ში მცხოვრებ დევნილებს შუქი და გაზი საერთოდ თვალთ არ უნახავთ. ორსართულიანი კორპუსის სახურავიდან წვიმა ჩამოსდით, კედლები ჩამოვარდნილია და დანგრეულია.

„შეიძლება, ამ შენობაში ვართ, - ამბობს თამაზ ბაპარაძე, - გალის რაიონში, სოფელ გუდავში ვცხოვრობდით. სახლკარი რომ გადაგვიწვეს, რამდენიმე წელი თავს ახლობლებთან ვაფარებდით. შემდეგ აქ შემოვედით. შენობა მაშინაც ავარული იყო. თვითონ შევალამაზეთ ჩვენ-ჩვენი ოთახები, თუმცა არიან ისეთებიც, რომელთაც ამის საშუალება არ აქვთ. აქ ცხოვრება ჯოჯოხეთის ტოლფასია. არ გვაქვს შუქი, გაზი, ჰერი თავზე გვეგვრე-

ვა. ერთი სიტყვით, გაუსაძლისი მდგომარეობაა. არაერთხელ მივმართეთ თხოვნით დევნილთა და განსახლების სამინისტროს, შუქი მაინც რომ მოეცათ, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენი მდგომარეობა დაცინვაა. შენობაში ცხოვრობენ ოჯახები, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ. მივირს, როგორ უძლებენ ამ ნესტსა და უბედურებას. ბავშვები მაინც ხომ უნდა შეიცოდონ, თუმცა იმდენად გულგრილად არიან, რომ მათაც კი არ უწევს ანგარიშს. არაერთხელ განვაცხადეთ ამ საშინელ ყოფაზე და ყურადღება არაფერი მოგვაკცია, მხოლოდ გვპირდებიან, რომ მოვლენ და შეისწავლიან ჩვენს მდგომარეობას, თუმცა ჯერ არაფერი გამოჩენილა. ისიც კი არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეს დაწესებულება. ადრე გვეგონა, რომ №8-ში ვცხოვრობდით, ახლა კი საჯარო რეესტრიდან შეგვატყობინეს, რომ შენობა №10-ია და მესაკუთრე არ ჰყავს, თუმცა ყოველწლიურად გვიმტკიცებს ვიღაც ბაკურ კიდურაძე, რომ შენობა მისია და გაყრით გვემუქრება.“

ნელი კვიციანი: „საშინელ პირობებში ვცხოვრობთ. ათასში ერთხელ თუ გვეღირსება სინათლე, რომელსაც გვერდით მდებარე ტყვია-წამლის „ცეხიდან“ არაოფიციალურად გვაძლევენ. „ცეხის“ მეპატრონე ერთგვრებით თურქია, არაოფიციალურად ვუხდით 6 ლარს; გვსაყვედურობს, ბევრს წავათო და შუქს ხშირად გვითიშავს. უკვე სამოცდაათ წელს ვარ მიღწეული, ჯანმრთელობაც ნაკლებად მიწყობს ხელს. ყოველ დამე ღმერთს შევთხოვ, შუქი არ ჩაქრეს, მივირს, როგორ ვძლებთ ასე. განა ეს ცხოვრებაა? დავიღალეთ და პირებებით. გვეუბნებიან, დაგაბრუნებთო, მაგრამ ამის იმედი ნაკლებად მაქვს. აქ არ ვუნდებართ არაფერს და ჩვენს დაბრუნებაზე თავს ვინ შეიწუხებს?“

ბიორბი მიძაძე: „შეიძლება, მე და ჩემი მეუღლე საშინელ და გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ. სამი შეიძლი

გვეყავს და ნესტიან ოთახში წვანან, ამიტომ ყოველთვე ცივდებიან. ფილტვების ანთება ვერ მოვუწრინებ ბავშვებს. სულ ცოტაც და ბავშვებს შეიძლება ტლექი დაე-მართოთ. რა გქნა, ვის არ მივმართე, მაგრამ ამაოდ. ახლახან გიგი უგულავასთან განცხადებით შევედი, ავუსხენი ჩემი მდგომარეობა, გაკვირვებული მისმენდა. თქვა, დაუჯერებელია, ნუთუ ეს სიმართლეაო. დამპირდა, რომ კომისიას გამომავხანდა, მაგრამ ჯერ არაფერი მოსულა. ასეთი გულგრილობა ძნელი ასატანია. დაგვაწვა და ნერვები. ყველა მხოლოდ გვისმენს. ახლა ესეც მოგზურდათ და ავდებით გვეპყრობიან. განცხადებების წერას აზრი არ აქვს. დევნილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი იყო რამდენიმე წლის წინათ, შეშფოთებული უყურებდა ჩვენს მდგომარეობას, დახმარებას დაგვიპირდა, მაგრამ არაფერი. მაშინ ხმები სჭირდებოდა საარჩევნოდ, ახლა კი საჭირო აღარ ვართ. ხუთი სული ვიწროდ, 33 კვ.მ. ფართობში ვცხოვრობთ, პოსპიტალივითაა ჩვენი სახლი. ამას ვინ ჩივის, ჰერი თავზე გვემხოვა. წყალი მუდმივად ჩამოდის და კედლები გაუქვნილია. მიწისძვრისას მათქაში ჩამოვიყარა.“

ხუთი წელია უგაზოდ და უშუქოდ ვართ. ზამთარში მოგვიტანეს მხოლოდ ერთი კვირის სამყოფი შეშა. სულ ესაა ხელისუფლების მიერ გაწეული დახმარება. უკვე მათხოვრებად გვაქციეს. არც კი ვიცით, რომელ პრობლემაზე შევეხო. მოვიდეს ვინმე და გვითხრას, რა გველის. ეს საცხოვრებელი არაა. არც გზა გვივარგა. ტრანსპორტიც არ შემოდის ჩვენთან. საკანალიზაციო ტუბი ყველგან თავლია. მთელი დღე გზას გაყვურებ, მეშინია, სკოლიდან მომავალი ბავშვი შიგ არ ჩავარდეს.“

ნათია ბაპარაძე: „პრობლემები თავზე საყრდელად გვაქვს დევნილებს. არც კი ვიცით, საიდან დავიწყო. აქ შე მოსვლის დღიდან დევნილთა სამინისტროს

ვთხოვ, ჩაწერის საკითხი მოგიგვაროს. თავდაპირველად გალის რაიონში ვცხოვრობდით და დევნილად ზუგდიდის რაიონში, სოფელ ორსანტიაში, ვიყავით გაფორმებული, მაგრამ იქ არ გვიცხოვრია. ორსანტიის გამგებელმა ვილაციის სახლს მიგვაწერა. გალიდან გადმოსვლის შემდეგ დედაქალაქში ვართ პაერში გამოკიდებული. წლებია, სამინისტროს ვთხოვ გადამისამართებას.“

საშინელ, ავარული შენობაში ვცხოვრობთ. შენობა გამაგრებას საჭიროებს. სამინისტროდან მოვიდნენ, დაგვიამდეს, შევისყიდით და დაგიკანონებთო. ჯერ ისიც კი არ ვიცით, ოფიციალურად ვის ეკუთვნის ეს შენობა. სამინისტროში გვითხრეს, ჩვენ თუ შევისყიდით, თქვენ მანდ დარჩებითო. რეესტრში ამბობენ, რომ შენობას პატრონი ოფიციალურად არ ჰყავსო.

ჩვენ აქ ჩვენი ნები არ მოსულვართ და არც ფუფუნებას ვითხოვთ. სახელმწიფო პოლიტიკის შეცდომის მსხვერპლი ვართ და ახლა ვეზიდებით. მოვიდნენ და ერთხელ და საბოლოოდ გაგვარკვიონ, რა გვეკუთვნის!“

ირმა ჩიტაია

P.S. თქვენს მტკიცებულებას დევნილობის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოახერხა დევნილებისთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა. ვარკეთილის მეურნეობაში კიდევ არაერთი გაჭირვებული ოჯახი ცხოვრობს. იქვე, ყოფილ ტაქსოპარკის შენობაში მცხოვრებ სოხუმელ დევნილ გურამ კვარაცხელიასაც ასეთივე პრობლემები აწუხებს და უკვე რვა წელიწადია განცხადებით ხელში უშედეგოდ დადის დევნილთა სამინისტროსა და მერიას შორის. ეს პრობლემები როგორც ჩანს არც თბილისში „თბილად“ მყოფ ე.წ. აფხაზეთის მთავრობას აწუხებს და სხვებს რა უნდა მოსთხოვო...

აშშ რუს სამხედროებს ბირთვულ ობიექტებზე შეუშვავს

აშშ ხელისუფლება რუს სამხედროებს თავის ბირთვული ობიექტების ინსპექტირების ნებას აძლევს. წინასწარ შეთანხმებას ამის თაობაზე ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდიანის - პილარი კლინტონისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მოსკოვური შეხვედრისას მიაღწიეს. ბირთვულ სფეროში მსგავს დათმობებს აშშ აქამდე არასდროს დათანხმებულა, ახლანდელი შეთანხმების მიხედვით კი, რუსეთი არა თუ დაიშვებიან ამერიკის ბირთვულ ობიექტებზე, არამედ იქ არსებულ ბირთვულ ტურელებსა და რაკეტ-მზიდებს გადაივლიან.

შეგახსენებთ, რომ სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ 1994 წლის 5 დეკემბრიდან ძალაში შესულ შეთანხმებას სსრ კავშირმა და შტატებმა 1991 წლის 31 ივლისს მოაწერეს ხელი. შეთანხმების მოქმედების ვადა 2009 წლის 5 დეკემბერს იწურება, შემდეგ კი ის შეიძლება ხუთი წლით გაგრძელდეს ან ახალი შეთანხმებით შეიცვალოს, მაგრამ ორივე შემთხვევაში მოლაპარაკებები ამის თაობაზე, სულ მცირე, ერთი წლით ადრე უნდა დაიწყო.

შეთანხმება თითოეულ მხარეს ავალდებულებს, 40%-ით შეამციროს ბირთვული ტურეების რაოდენობა (6 ათას ერთეულამდე) და 30%-ით - მათი სტრატეგიული მზიდების რაოდენობა (1600 ერთეულამდე). 2001 წლისთვის ამერიკამ და რუსეთმა ეს ვალდებულებები შეასრულეს.

6 ივლისს მოსკოვში რუსეთისა და აშშ პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების ახალი ხელშეკრულების საფუძველზე გახდება. მოსკოვური სამიტის პირველ დღეს ხელმოწერილ დოკუმენტში რუსეთიცა და ამერიკაც კისრულობს ვალდებულებას, ბირთვული ტურეების რაოდენობა 1500-1675-

მდე შეამცირონ, რაკეტ-მზიდების კი - 500-1100-მდე. მონაცემები შემდგომ ეტაპებზე საბოლოოდ დაკონკრეტდება.

ახალი მოლაპარაკებების პროცესში მთავარი საკამათო პუნქტი გახდა შემცირებაში მოყოლილი ტურეების საკითხი. რუსეთში მათ ანადგურებენ, ამერიკაში კი შლიან. ენერგეტიკის სამინისტროსთან არსებული ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული სამმართველოს თანამშრომელთა განცხადებით, ტურეების ლიკვიდაციას 15 წელიწადი დასჭირდება, მათგან დარჩენილი პლუტონის ატომური ელექტროსადგურების საწვავად გადაამუშავებაზე კი - 21 წელიწადი.

გასანადგურებელი ტურეების ზუსტი რაოდენობა გასაიდუმლოებულია. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, მონაცემები დაახლოებით 4200-ის ფარგლებში მერყეობს.

გარდა ამისა, პენტაგონს აქვს 2700 ოპერატიულად დაშლილი და 2500 სარეზერვო ტურე. ისინი საწობებში ინახება და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება უსწრაფესად დაყენდეს ავიაბომბებზე ან ბალისტიკურ რაკეტებზე.

სერგეი ლავროვთან ზემოხსენებულ მოსკოვური მოლაპარაკებების შემდეგ პილარი კლინტონმა განაცხადა, რომ აშშ აღნიშნულ საკითხებში გამჭვირვალე იქნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ახლა მოსკოვსა და ვაშინგტონში ფრთხილად იმედოვნებენ, რომ სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების ძველი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, ანუ 5 დეკემბრამდე, შესაძლოა, ახალ შეთანხმებასაც მოეწეროს ხელი.

რუსული ბანკები კრედიტების ბაიანუბისთვის მზად არიან

ამჟამად რუსეთის სახელმწიფო ბანკები მზად არიან, კრედიტები წლიურ 15%-დან 8-12%-მდე გააიფონ. ამის თაობაზე რუსეთის ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა. მანამდე რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ

პუტინმა ეკონომიკური საკითხების აღმძიმდენილ თათბირზე ახლანდელ კრედიტებს ძალიან ძვირი უწოდა და განაცხადა, რომ რეალური ეკონომიკისთვის არასაკმარისი სახსრები და მათი სიძვირე „მწვევე პრობლემა“ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ იანვრის 17,4%-დან აგვისტოში საბანკო კრედიტების ღირებულებამ 15,1%-მდე დაიკლო, „ეს მაინც ძალიან ძვირია“, - ბრძანა პრემიერმა.

პრემიერის შემოდგომაზე სოჭში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე პირობა დადო, რომ უახლოესი წლების განმავლობაში სახელმწიფო საბანკო კრედიტების ღირებულების წლიურ 6%-მდე შემცირებას მიაღწევს. მეორე დღეს შემნახველი ბანკის ხელმძღვანელმა გერმან გრეფმა ბრძანა, რომ უახლოეს წლებში ამ მაჩვენებლის მიაღწევა საეჭვოა და დასძინა, რომ პუტინისეული გეგმის განსახორციელებლად ქვეყანაში ინფლაცია ორი პროცენტი უნდა იყოს. უკანასკნელ წლებში რუსეთში ფასები წელიწადში 10 პროცენტით იზრდება, კუდრინის განაცხადებით, წლებიდან ინფლაცია 11 პროცენტზე ნაკლებია, 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი 8-დან 11-მდე შუალედს არ გასცდება.

რეზინანსირების გაზრდით ან შემცირებით კრედიტების გაიფებაზე ზეგავლენას რუსეთის ცენტრალური ბანკიც შეძლებს. კრედიტების ღირებულება, როგორც წესი, რამდენიმე საპროცენტო პუნქტით მეტია რეზინანსირებისაზე. 2009 წლის დასაწყისიდან ცენტრალურმა ბანკმა რეზინანსირების პროცენტი შეიძვერა შეამცირა, მათ შორის, სექტემბრის ბოლოსაც, როდესაც ღირებულება 10%-მდე დაეცა. ეს 2007-2008 წლების შემდეგ ისტორიული მინიმუმი.

აშშ ბიუჯეტის დეფიციტი ერთ წელიწადში 962 მილიარდით ბაიზარდა

2009 ფინანსური წლის ბოლოსთვის ამერიკის შეერთებული შტატების ბიუ-

ჯეტის დეფიციტმა 1,417 ტრილიონი დოლარი შეადგინა, ეს კი შარშანდელ მაჩვენებელზე დაახლოებით 962 მილიონი დოლარით მეტია.

დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის თითქმის 10 პროცენტს შეადგენს, რაც 1945 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ფინანსური მონაცემებით, სექტემბერში დასრულებული 2009 საფინანსო წლის განმავლობაში შემოსავლებმა 2,105 ტრილიონი დოლარი შეადგინა, დანახარჯებმა კი - 3,522 ტრილიონი. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებაში კი აღნიშნავენ, რომ 1,417-ტრილიონიანი დეფიციტი წლის დასაწყისისთვის ობამას დამინისტრაციის მიერ პროგნოზირებული სავარაუდო 1,58 ტრილიონ დოლარზე ნაკლებია.

ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრ ტიმოთი გაიტნერისა და საბიუჯეტო სამმართველოს ხელმძღვანელის პიტერ ორზაგას ერთობლივი განცხადებით, 2009 წლის დეფიციტი დიდწილად წინა ხელისუფლების მიერ წარმოებული მცდარი ეკონომიკური პოლიტიკითა და ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისით და, ამავე დროს, არასწორი ფინანსური პოლიტიკითაა განპირობებული.

„ეკონომიკის გადარჩენიდან მის ადღენაზე გადასვლის პირობებში პრეზიდენტი გაცნობიერებს, რომ ჩვენ ერთი ფინანსურად მდგრად გზაზე უნდა დაგაბრუნოთ“, - განაცხადა პიტერ ორზაგამ.

შეგახსენებთ, აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ აშშ საბიუჯეტო სამმართველოს პროგნოზით, 2010-2019 წლებში ბიუჯეტის დეფიციტი ცხრა ტრილიონ დოლარს მიაღწევს და ამის უმთავრესი მიზეზი ეკონომიკის კრიზისიდან გამოსავლანი დანახარჯების ზრდა იქნება.

საიდან მოვიდნენ, ვინ იყვნენ ე.წ. პროტოსეიტები

(და როდის შეიქმნა მათი უძველესი და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა – ხეთი)

ბიბლიის მიხედვით ნოეს (იმ დროის უდიდეს ქურუმ-განმანათლებელს) შუათანა ვაჟიშვილს ჰყავდა ხეთი ვაჟი: ქუში, მიცრანი, ფუთი, ქანაანი და ხეთი.

ქართველებმა კარგად ვიცით, რომ ყველა საერთო ქართველური ტომების წინაპრები არიან ბიბლიური სემი, ქამი და იაფეთი (ნოეს შვილები), თუმცა, ქართველ ტომთა საერთო დიდ წინაპრად რატომღაც არ ვაღიარებთ ნოეს რატომ?.. იმ ხანებში კოლხეთის ხალხმრავალი სახელმწიფო გეგმაზომიერად ითვისებდა მის გარშემო დაუსახლებელი მიწების ტერიტორიულ სივრცეებს. ხეთი თავისი ახლო ნათესავებით გადასახლდა ანატოლიის ნახევარკუნძულის შუაგულის მთიანეთში. იქ დაარსდა უძველესი დედაქალაქი **ხათუთაში**.

ანატოლიაში ხეთის ჩასახლება მოხდა ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 6.000 წელს. მათი ქვეყანა უმეტესად მთავორიანი იყო, ამიტომ ისინი საცხოვრებელი ბინების, ციხე-სიმაგრეების და სხვა თავდაცვითი ზღუდეების ასაშენებლად იყენებდნენ ბუნებრივ სამშენებლო მასალას უზარმაზარი ქვის ლოდების სახით და ამკობდნენ ნატივი ხე-როთმოდერული ორნამენტებით, ასევე გამოყენებული აქვთ ხის მასალაც, რადგან მათ ხეც ბლომად ჰქონდათ.

არქეოლოგიური წყაროებიდან ჩანს, რომ ხეთები შეუდარებელი ქვის მთელ ოსტატები იყვნენ. განცვიფრებას იწვევს მათ მიერ შესრულებული ორნამენტების ნატივი ფორმების და ჩუქურთმების მშვენიერება, რომელიც დღესაც ნაკლებადაა შესწავლილი. მჯერა, რომ ქართველი ახალგაზრდობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს, როგორც ჩვენი ქვეყნის შორეული წარსულის ერთ-ერთ შემადგენელ კულტურულ ფასეულობას.

ხეთები უძველესი მეომრები ყოფილან, მათი ნათესავი-ველახების, დორიელების, ეთრუსების, მაკრისელების, ანუ მაკრონების, იგივე მარი-გალების, იგივე მეგრელების (კინობითი ფორმა) და საქართველოს მთიანეთის: თუშ-ფშა-ხევესურების, სვანების, რაჭველების მსგავსად. ხეთები თავიანთ კულტურულ დაწინაურებას ინარჩუნებენ მრავალი ათასწლეულის განმავლობაში და ამ კულტურულ ზეგავლენას განიცდიდნენ მეზობელი ქვეყნები: სირია, იორდანია, ლიბანი, ერაყი, ფინიკია და განსაკუთრებით ეგვიპტე. სწორედ ხეთებს უნდა ვუმაღლოდეთ ეგვიპტის ყვითელკანიანი რასის ხალხის დაწინაურებას ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულიდან.

ძველბერძნული მითოსიდან ვიცით, რომ კოლხურ მზის ღვთაებას **რა-ს**, ანუ ბერძნულად ჰელიოსს სამი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. ყველაზე უფროსს **აიგტი** ერქვა და იგი **კოლხეთის მეფე აიგტი** გახლდათ. მომდევნო ძმა **აგეი** – ეგვიპტეში მოღვაწეობდა. შემდეგ იყო **ცირა** (ცირცვა), ბერძნულად **კირკე** ად წოდებული, შემდეგი ქალიშვილი **პასიფია**, ელადურად **პასიფა** (იგი კუნძულ კრეტის მრისხანე გამგებლის, მეფე მინოსის ცოლი იყო), და ბოლოს ძმა **ფაეთონი**, ანუ **ფაეთუსა**, რომელმაც მზის ღმერთის **რა-ს** ოქროს ტახტზეგანი ვერ მართა ცაზე, ცეცხლი წაეკიდა, ზევსმა სტყორცნა მები და ჰაერშივე გაანადგურა.

ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 1450 წელს, **აგეის** (მარგალის ენაზე **“შუქნათელი ვარსკვლავი”**) ეგვიპტელებმა აქცინიუსი-მანათობელი უწოდეს. ხოლო აგეიმ ეგვიპტის მეფეებს შეარქვა კოლხური სახელები: **ფა-რა-ონი**, ანუ მარგალის ენაზე **ფა** – ნიშნავს ფულს, სიმდიდრეს, **რა** – მზის ღმერთს, **ონი** – დიდი ნოეს მიერ აშენებული, დედაშიწაზე პირველი ქალაქის ტიპის დასახლებას. ასევე სახელი რამხე: **“რა”** არის ღმერთი, **“მხე”** – არის რა.

ავგიე-აქცინიუსი იმდენად საპატივცემულო და დიდი ნდობით აღჭურვილი პიროვნებაა, რომ მან ურჩია ფარაონს მისი სახელისა და სულის მარადიულობისათვის აევით პირამიდა. პირამიდის მშენებლობა დაუჯერებელ მეცნიერულ დონეზე გათვალეს კოლხმა, ხეთმა და საისელმა ასტრონომებმა, მათმატიკოსებმა და მშენებლებმა. ხურობად, ქვის მთელელებად და სამუშაოების შემსრულებელ ზედამხედველებად მუშაობდნენ ხეთები, ხოლო დანარჩენ სამუშაოებს ასრულებდნენ ათეული ათასობით ყვითელი რასის ეთიოპური წარმომავლობის ეგვიპტელი მუშები. სამშენებლო ქმედებებს მარხილებით ძირითადად ეზიდებოდნენ ხეთების ქვეყნიდან, დანარჩენ შემავსებელ ნაწილს ადგილობრივ მოიპოვებდნენ.

ჰეოფისის პირამიდის კედლებზე ამოკვეთილია კოლხური და ხეთური ორნამენტები, ასევე გოცელებს იწვევს მთავარ შესასვლელში ამოკვეთილი ქართული ასომთავრული ასო **“ჰ”** ანუ **ჰა**, ასევე **“რ”** ანუ **რა**. მათგან პირველი სამყაროს შემქმნელი მამაზეციერია, ხოლო მეორე კოლხური მზის ღმერთის სახელი.

მოგვიანებით, კულტურულად და ეკონომიურად დაწინაურებულმა და მოლონიერებულმა ეგვიპტელებმა განიხრახეს თავის დაღწევა ხეთების ზეგავლენისაგან და დაიწვეს ანტიხეთური მოძრაობა, ხეთის სინონიმად გახადეს სიავის მატარებელი მოძალადე – **სეთი**. ეგვიპტურ მითებში, პატრიარქული ძალები მთელი ეგვიპტისა, ებრძვიან ამ ავ მოძალადეს და იმარჯვებენ ეროვნული სულის მქონე ახალგაზრდა ქალ-ვაჟის მეთაურობით.

ათასწლეულობის მანძილზე ხეთებმა, კოლხებმა და ყველა სხვა საერთო ქართველური ნათესაური სისხლისა და ერთნაირი გენეტიკური კოდის მატარებელმა ხალხებმა მრავალჯერ სცადეს გაერთიანებული სახელმწიფო შექმნათ. ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი გაერთიანებების სახელწოდებები: ხე-ხეთი (მარი-გალის ენაზე **ჩე** – თეთრს ნიშნავს, ანუ თეთრ ხეთს), **ჯავა-ხეთი**, **მეს-ხეთი**, **კა-ხეთი**, **კუ-ხეთი**, **სომ-ხეთი**, **კოლ-ხეთი**. ამ უკანასკნელში კი კი შედიოდა მარიგალების (მეგრელების) ქვეყანა, სადაც დღესაც არსებობს სოფელი ხეთა (ხობის რაიონი), ასევე არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოში სოფელი ხეთა, სადაც მიძინების წინ ღვთისმშობელმა გამოავაზა მირონის ხარშის საიდუმლო და ამის შემდეგ ეწოდა ამ სოფელს **მ-ც-ხეთა** ანუ მირონცხეხეული ხეთა, და შემდგომ იგი გარდაიქმნა მცირე-აზიის ქრისტიანული რელიგიის დიდ ცენტრად და, იმავდროულად, გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად.

ამჟამად, ხეთები ისევ სახლობენ თავიანთ უძველეს ქვეყანაში, ცენტრალურ ანატოლიაში. ერთხელ ჩემი მეგობარი, შესანიშნავი ქართველი მსახიობი ზურაბ ქაფიანიძე დედუგაციასთან ერთად იმყოფებოდა ამ ქვეყანაში. მისმა გამჭრიახმა გონებამ და მახვილმა თვალმა უტყუარად გამოიცნო ხეთების მკაფიო განსხვავებული ტურქული წარმოშობის ადამიანებისაგან. მან შეამჩნია ახლანდელი, ცისფეროვანი, სხარტი მიხვრ-მოხვრის ადამიანი და შეეკითხა: ვინ იყო იგი. მან თამამად უპასუხა – მე თურქი არა ვარ, მე ხეთი ვარო და თავმომწონედ დაამატა, რომ ხეთები თურქეთში 22 მილიონი ვართო.

დღევანდელ ხეთებს მათი ძალზედ შორეული კოლხური წარმოშობის შესახებ არაფერი ახსოვთ, მაგრამ კარგად იციან, რომ ისტორიულ წარსულში მოხდა მათი ქვეყნის სიძლიერის შესუსტება, რაც კარგად გამოიყენეს აქ მშვიდობიანი გზით შემოსულმა თურქმენულმა ტომებმა და დაიპყრეს დაუძღვრებული ქვეყანა, შემდგომ კი ხეთების მეომრული სულის გამოყენებით და ბრძოლებში მოპოვებული ალაფის გულუხვად დარიგებით შესძლეს თანდათანობით მთელი დღევანდელი თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ხალხის დაპყრობა და თურქული დროშის ქვეშ გაერთიანება, ყოველივე ამასთან თურქმენული ენისა და

მუსულმანური რწმენის გავრცელება. ამგვარად, თურქმენებმა ჰკუთთ აჯობეს ქართველურ ტომებს, მათივე ხელი ბრძოლებში მოპოვებული ნაალაფარის მათთვის გულუხვად დარიგებით დაიპყრეს ამჟამინდელი თურქეთის მთელი ტერიტორია და თურქული სისხსტიკით თავიანთი ჰეგემონია განიმტკიცეს.

ამჟამად თურქეთში 22 მილიონი ხეთი ცხოვრობს, 17 მილიონი ლაზი, 11 მილიონი ჭანი და ლენინის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის სანაცვლოდ ათათურქისათვის გადაცემული ძირძველი ქართული მიწების ტრიტორიაზე მცხოვრები ქართულად მოლაპარაკე, ქართული ადათ-წესების მიმდევარი, ყველასგან დავიწყებული და უმწყო მდგომარეობაში მცხოვრები 4,7 მილიონი ქართველი. საერთო ჯამში თურქეთში დაახლოებით 50 მილიონი ჩვენი სისხლ-ხორციით ნათესავი ხალხი ცხოვრობს და ჩვენ საქართველოში უცხო თესლის ბატონობამ მტრად გადაგვიკიდა ამ ხალხს და ამჟამად მათთან შეწყვეტილი გვაქვს ურთიერთობა.

სწორედ ამ ურთიერთობათა აღდგენა უნდა იქცეს დღეს ჩვენს უპირველეს საზრუნავად.

დაინტერესებულ მკითხველს ვპირდები, რომ უფრო დაწვრილებით მოვუთხრობ პრეტონეტების უძველესი ქვეყნის შესახებ. გახუთ **“ილორის”** რედაქციასთან, ქვეყნის პატრიარქულ, სადად მოახლოვებულად ამომავლეთთან ერთად უნდა გადავდგათ ის ნაბიჯები, რომელიც კვლავ დაგვაახლოებს ჩვენს გენეტიკურად მონათესავე ხალხთან, ვინაიდან წარსულის დაიწყება არასასურველად მოქმედებს მათში ქართველობის აღდგენის სურვილის შენარუნებაზე. თურქეთში მცხოვრები ამ ქართველების სახალხოდ უნდა ითქვას, რომ ჭანებმა და ლაზებმა არაერთხელ წამოაყენეს ქართველურ ტომთა ავტონომიის შექმნის საკითხი, მაგრამ თურქების მხრიდან, ცხადია, დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ამჟამად, საბედნიეროდ, თურქეთში იმარჯვებენ დემოკრატიული ფასეულობები, საბჭოთა კავშირის დაშლამ დიდი როლი ითამაშა თურქეთ-საქართველოს კეთილურთიერთობათა განვითარებაში და იქ მოლიანად შეცვლილია ვითარება.

ერთხელ, **“თურქ ქართველებთან”** ქართულად საუბრის დროს მათ მითხრეს, რომ ჩვენი მამები და ბაბუები ანქარას და ტრაპზონს არ თვლიდნენ თურქეთის დედაქალაქად. ისინი თბილისს თვლიდნენ დედაქალაქად. ამ სიტყვების გაგონებამ სიხარული მომგვარა არა შოვინისტური გაგებით, არამედ იმიტომ, რომ თირქეთში მცხოვრებ ქართველებში ჯერ კიდევ ამ მომკვდარი შორეული წინაპრების ხსოვნისადმი პატივისცემა და სიყვარული.

დიდი სიფრთხილით უნდა გადავდგათ ნაბიჯები ხეთებთან ურთიერთობების აღსადგენად და ჭანებსა და ლაზებს უნდა შევთავაზოთ მათი სკოლების პირველ კლასებში **“დედა-ენის”** შესწავლის წინადადება. თურქეთში უკვე ამის მსურველებიც ბევრნი არიან და რაც უფრო მალე დაიბეჭდება თურქეთში მცხოვრები ქართველი ბავშვებისათვის სპეციალური სახელმძღვანელო, მის უკეთესი იქნება ჩვენი საერთო საქმისათვის.

ბორის ბობია, ისტორიკოსი
ავტორის შენიშვნა: თურქეთის დედაქალაქის სახელწოდება **“ანკარა”** ზოგს ანკარა წყაროს, ზოგს კი გველის სახელად მიაჩნია, რაც არაა სწორი. მის ფუძეში შეცვლილმა ერთმა ასომ გაუგებარი გახადა ამ ქალაქის სახელწოდება. იგი ასე უნდა დაიწეროს: **“ანიქა-რა”**. ანი კოლხური ცის (სამყაროს) ღმერთია, **ქა** – ასევე კოლხური მიწის ღმერთი, ხოლო **რა** – ღმერთი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს უწმინდესო და უნეტარესო!

მოვაკვლიე უძველეს ხელნაწერს. ძველი **“ეფუთის”** კალენდარი: ნიშნები მზისა და მთვარის დაბნელების შესახებ და ზოგიერთი აფორიზმი ამოღებულია ძველისძველი **“ეფუთის”** ხელნაწერიდან (ქუთაისი, გაბო ბოჭორიშვილის გამოცემა, 1914 წელი, ი. ხელაძის სტამბა, 39 გვერდი, ფასი 0-20 კაპიკი).

ეს ინფორმაცია მოვიპოვე ქუთაისის ცენტრალური ბიბლიოთეკიდან, რაც ამტკიცებს ჩემს სიტყვებს, რომ მე ბავშვობაში ბევრჯერ მჭერია ხელში **“ეფუთი”**, რასაც მეცნიერებათა აკადემია არ მიჯერებს. ამჟამად მივაკვლიე მარტვილის რაიონში, სოფელ ქვემო გურამში ჩანბნაიას ოჯახში **“ეფუთის”** ხელნაწერს, ხოლო მეორე ხელნაწერს იმავე რაიონის სოფელ კიწიაში – კარლო გულორდავას ოჯახში. კაციც მივაგზავნე, მაგრამ იგი ოჯახის რელიქვია არისო და არ გვათხოვეს ქსეროქსზე გადასაღებადაც კი.


თქვენო უწმინდესობა!
თქვენი მაღალი ავტორიტეტით დახმარებაა საჭირო. ადგილობრივი ეკლესიის მოძღვარს უნდა თხოვოთ ან დაავალოთ ზემოთხსენებულ ოჯახებში მისვლა და თქვენი თხოვნის მიტანა, რომ აღნიშნული ხელნაწერი სრულიად საქართველოს და ქართველ ერს ეკუთვნის. იგი აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელნაწერთა ინსტიტუტს, უნდა დაისტამბოს და ხელმისაწვდომი გახდეს ყველა ოჯახისათვის.

ჩემს მიერ მოძიებული ინფორმაციით, ხელნაწერები ერთმანეთისაგან განსხვავებული ტექსტებითაა შედგენილი, რომელთა გაერთიანება აუცილებელია.

ვიმედოვნებ, რომ ლოცვა-კურთხევას მოვცემთ ამ უადრესად მამულიშვილური საქმის განსახორციელებლად.

თქვენდამი ღრმა პატივისცემითა და მოწიწებით,

ბორის ბობია, ისტორიკოსი.



მებრული „ნაციონალიზმი“ ანუ შთქმულება ერთიანი საქართველოს წინააღმდეგ

გთავაზობთ ეპიზოდებს ბატონი გიორგი ხუფენიას მოგონებებიდან.

ძნელია ილაპარაკო იმაზე, თუ რა მასალები არსებობდა საერთოდ საქართველოში ამ ხალხის მიმართ, მაგრამ თუ ჭიათურის მაგალითზე ვიმსჯელებთ, სადაც მე უშიშროების საქალაქო განყოფილებაში რამდენიმე წელი მომიხდა მუშაობა, შემძლია ვთქვა, რომ ჭიათურელი ბერძენები, რომლებიც ფაქტიურად გაქართველები იყვნენ. ტრადიციით, გემოვნებით, რომელთა დედა ენად ქართული იყო მიხნული, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, კოლორიტულად შეთვისებული აქტიურ ცხოვრებას ეწეოდნენ.

რუხადის მიერ კიდევ ეს ერთი გატარებული ღონისძიება, მოსკოვის თვალში მის ავტორიტეტს უფრო აძლიერებს, რითაც ის მორიგი საქმიანობისათვის იძენს გარანტიას, თავგანწირული მუშაკის სახელით განაგრძოს ბრძოლა საბჭოთა მტრების გამოსაგლეხად.

გენერალი რუხადე ნელ-ნელა მიიწვეს წინ, ამჟამად შეფარვით, საქართველოს ყოფილი უშიშროების მინისტრის ირგვლივ მოქმედებს.

საქმე იმაში გახლდათ, რომ სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ცნობილია, დიდადი სამხედრო ტყვეები იქნა სამშობლოში რეპატრირებული, რომელთა შორის სახელმწიფო უშიშროების ორგანოს მუშაკები, ადგილზე აქვდნენ ეგრეთწოდებულ საფილტრაციო სამუშაოებს. ზოგიერთი რაიონული თუ საქალაქო განყოფილება მათთან არსებული მასალების საფუძველზე ითხოვდნენ ცალკეული პირების მიმართ განსაკუთრებული ზომების მიღებას.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების გაფართოებულ თათბირზე, უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა გენერალმა რაფაეამ თავის საბოლოო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა და მოიყვანა კონკრეტული მაგალითი ზოგიერთი პერიფერიული ორგანოების მიერ დაყენებული საკითხის თაობაზე და განაცხადა:

ამხანაგებო! ფაქტები იმის შესახებ, რომ ქართველი სამხედრო ტყვეების ნაწილი გერმანიის სამხედრო ბანკიდან ძირითადად იძულებითი წესით იქნა ეგრეთწოდებული ქართველ ნაციონალურ ლეგიონებში ჩარიცხული, ეს ჩვენთვის ცნობილია. ჩვენს ხელს არსებული მასალები მეტყველებენ იმაზე, რომ გერმანელების მიერ შეკოწიწებული ლეგიონებიდან ჯარისკაცები ყველა ხელსაყრელ პირობებში ფრინტის ხაზის გადმოღახვით წითელი არმიის მხარეზე გადმოდიდნენ, რაც კიდევ ერთხელ დაპარაკობს იძულების წესით გერმანელთა მხარეზე გადაბირების შესახებ. ასე რომ, სამხედრო ტყვე-ლეგიონერი გერმანული ჯარისკაცის ფორმით, არ არის მათი დასჯის საფუძველი.

დაპატიმრებას ექვემდებარება კონტინგენტი, რომლებიც დამსჯელ ორგანოებში მსახურობდნენ და ჩვენს ხალხისა და აქტივისტების წინააღმდეგ მტრის ზურგში მოქმედებდნენ.

ამ მტკივნეული საკითხის გარშემო, მინისტროფიველი გენერალი ჯ. რაფაეას საპირისპიროდ, გენერალმა ნ. რუხადემ ერთ-ერთ რესპუბლიკურ თათბირზე, თავის საბოლოო სიტყვაში, გამაღიზიანებლად, ისე რომ პიროვნულად რაფაეას გვარი არ უხსენებია, ბრალი დასდო საქართველოს უშიშროების ყოფილ ხელმძღვანელობას და განაცხადა: ნუთუ შეიძლება იმაზე მეტი მტრობა, შენს თვალწინ რუსთაველის პროსპექტზე თავისუფლად დასმარობენ გერმანულ ფაშისტთა აგენტები და მათ ერთპიროვნულად ხელს აფარებენ და განაგრძობ, სამშობლოს ყველა მოღალატე პასუხი უნდა აგოს ქვეყნის წინაშე.

ნიკოლოზ რუხადემ დანაქადი სისრულეში მოიყვანა, იმ დროინდელი საქართველოს 40-იან წლებში კარგად ცნობილი, საფრანგეთში პირველ საბჭოთა პარტიზანულ ბლოკად წოდებული ქართველი მებრძოლების შესახებ, რომელსაც სათავეში ედგა მეთაური იშხნელი.

ქართულ პარტიზანულ პოლკს დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა გერმანულ ფაშისტებთან შეტაკებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის წინააღმდეგობის ფრონტის სარდლობამ ქართული პარტიზანული პოლკის პირადი შემადგენლობის დიდი უმრავლესობა გაწვეული მამაცობისა და გმირობისათვის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა, გენერალი ნ. რუხადის აპარატმა შეძლო, საფრანგეთში გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ მებრძოლი პირველი საბჭოთა ქართველ პარტიზანთა პოლკი „მოენათლა“

არარსებულ ცრუ პოლკად და როგორც სამშობლოს მოღალატეები, ერთ დამის განმელობაში გადასახლებულ იქნენ შორეულში.

ანალოგიური ბედი ეწია, პოლანდიის ტექსელის მებრძოლებსაც, რომლებიც ასევე სამშობლოს მოღალატეებად იქნენ შერაცხული და ის ვინც გერმანულ დამსჯელი ორგანოების მახვილს გადაურჩა, სამშობლოში დაბრუნებულები, უკლებლივ მთელი შემადგენლობით, იქნა ციმბირში გადასახლებული.

გრძელდება გერმანიიდან რეპატრირებული ქართველი სამხედრო ტყვეების დევნა. 1951 წლისათვის უშიშროების ტერიტორიალური ორგანოები დებულობენ მინისტრის ნ. რუხადის ცირკულარულ დირექტივას, უკლებლივ ყველა ჯარისკაცის თუ მეთაურის აღრიცხვის შესახებ, რომლებიც რაიმეთი მაინც დაფიქსირებული იყო გერმანულ ლეგიონერობასთან ურთიერთობაში, ეს კონტინგენტი 1951 წლის 25 დეკემბერს მოწვევით მშობლიურ კერას და მთელი ოჯახის შემადგენლობით გადასახლეს შუა აზიაში.

აღნიშნული გარემოება საყურადღებოა კიდევ იმითაც, რომ მოგვიანებით მეგრულ საქმესთან დაკავშირებით დაპატიმრებულ, საქართველოს ყოფილ უშიშროების მინისტრ ჯ. რაფაეას, გერმანული აგენტის მფარველობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბრალდებად ექნება წაყენებული, რომელიც „მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფისათვის“ საქროთ დამახასიათებელ დანაშაულად ჩაითვლება.

გენერალ რუხადეს დრმად აქვს გათვითცნობიერებული მეგრელების საწინააღმდეგოდ ბედადთან სხვადასხვა არხების საშუალებით მიტანილ ინფორმაციას დოკუმენტალური გამაგრება სჭირდება მეგრულთა საქმის შესაკოწიწებლად. კარგად იციან, სტალინი ის პიროვნებაა, რომელიც ყოველ კონკრეტულად დაყენებულ საკითხს ყველა წერილმან ელემენტს დეტალურად იხილავს, დემრთმა ნუ ქნას მიწოდებული ინფორმაციებში იპოვოს სიცრუე და საეჭვო რამ. მოვალე ფაქტია შორის საილუსტრაციო მითყავს ერთი დამახასიათებელი კომბინაცია, რომელიც საქართველოს უშიშროების ცენტრალური აპარატის მიერ იქნა გატარებული აჭარის ავტონომიური ოლქის პირველი მდივნის - კირილე გიორგის ძე ბუჭვაიას საკომპრომენტაციოდ, რომელთა საშუალებითაც ეს კრიტიკული პარტიული მუშაკი ძალიან ოსტატურად თურქეთის დაზვერვის ემისრად აქციეს.

სამამულო ომის დამთავრებისთანავე საქართველოში საერთო აღმშენებლობის ფონზე, აჭარის პარტიული ორგანიზაცია გარკვეული მასშტაბის სამუშაოებს ასრულებდა. ქალაქ ბათუმის ზღვის სანაპიროს ხელახალი სარეკონსტრუქციო სამუშაოები დიდი მონღლოებით სრულდებოდა, რომელიც აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კირილე ბუჭვაიას პირადი სისტემატიური კონტროლისა და ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

კირილე გიორგის ძეს წესდა ჰქონდა სამუშაო საათების შემდეგ, ანუ არა უგვიანეს დამის 3-4 საათისა (იმ დროს პარტიული და ძალისმიერი ორგანოებისათვის მუშაობის ეს რეჟიმი დაკანონებული იყო), ორიოდ პასუხისმგებელი თანამშრომლებით, ან კიდევ მარტო დაყოფადიურებისა დღის ნამუშევარი და მიღებული შთაბეჭდილებებიდან გამომდინარე, უკვე მეორე დღის დილის საათებში, მშენებლობის ხელმძღვანელებთან არკვევდა ინტერბორტოე საკითხებს და სამუშაოების ინტენსიური წარმართვისათვის საჭირო დახმარებას უწევდა.

ამ საბედისწერო დამეს, რომლის გარშემო საუბარი, საკითხის გაშუქების მიზნით თბრობის თანმიმდევრობაში ერთავ ამ რთული გარემოების მოწეს, ბათუმის პარტიის საქალაქო კომიტეტის იმდროინდელ პირველ მდივანს - ვახტანგ მიხეილის ძე ყურაშვილს. ბატონი ვახტანგი იმ თაობისათვის და შემდეგაც კარგად ცნობილი პიროვნება იყო, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პარტიული სამუშაოდან წასვლის შემდეგ მუშაობდა საქართველოს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და პარალელურად რეკვირებს კითხვულად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში სპეციალობის მიხედვით, შემდეგ უფრო მოგვიანებით მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში პასუხსაგებ თანამდებობაზე. აი რა მაიმო მან: დამის სამი საათი იქნებოდა, როდესაც დამირეკა საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბატონმა კირილე ბუჭვაიამ და მოხვდა გაყ-

ოლოდი სანაპიროს მშენებლობის დასათვალისწინებლად, რა თქმა უნდა, მე, უარი არ მითქვამს, მაგრამ შევხსენებ, რომ მისი პირადი დავალებით ვმუშაობდი ბიუროს ოქმის წესრიგში მოსაყვანად, რომელიც მოსახსენებლად იმავე დღისათვის მასთან უნდა მიმეტანა. ამ დავალების შესახებ იმიტომ შევხსენებ, რომ კირილე გიორგის ძე მეტად მომთხოვნი და პარტიული დისციპლინის მოყვარული მუშაკი იყო, რომელიც ნებისმიერ დავალების შეუსრულებლობაზე თუ წინასწარ ინფორმირებული არ იყო, საკითხს პრინციპულ სიმადლეზე აყვანდა. მოისმინა, რა ჩემი განმარტება, დამთანხმდა განმეგრძო მუშაობა. ბატონმა ვახტანგმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე, მეგრულთა საქმესთან აწ უკვე დაპატიმრებული კირილე ბუჭვაიას თხოვნით ორგანოს მუშაკის მიერ ყოფილა დაკითხული.

ბატონმა კირილემ, ზღვის სანაპიროსკენ განაგრძო გზა, მისასვლელთან გააჩერა მანქანა და სამუშაოს დასათვალისწინებლად გაჰყვა სანაპიროს, გარკვეულ მანძილზე თავის მანქანას მძღოლიანად დაშორებულს ობიექტის ბოლოს გამოეცხადა სამი შეთარაღებული მესაზღვრე, აქედან ერთი ოფიცერი, რომელმაც მარტო მოსკირენ საოლქო კომიტეტის მდივანი გააჩერა და მიმართა, რომ დარღვეული აქვს ზღვის სანაპიროზე გიან დამის საათებში სეირნობის რეჟიმი და იგი სახელმწიფო საზღვრის აკრძალულ ზონაში იმყოფებოდა და მოსთხოვა პიროვნების დამადასტურებელი საბუთი. კირილე გიორგის ძე საბუთი თან არ აღმოაჩნდა, განუმარტა, რომ იგი აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანია და გავიდა და სახელი აუწვა. ოფიცერმა პასუხად შეაგება, რადგან მან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმდგენა ვერ შექმლო, სიტყვიერი განცხადება მას არაფერს უვნებდა და სთხოვა „ზასტავაში“ გაყოლოდა. სასაზღვრო „ზასტავა“ იქვე, ორიოდ ნაბიჯზე იმყოფებოდა, ამიტომ ყოველგვარი გართულების გარეშე მესაზღვრეებს გაჰყვა. აჭარის ტერიტორიის ზღვის სანაპიროზე განლაგებული სასაზღვრო დავის ოფიცერთა შემადგენლობა მისთვის კარგად ნაცნობი ხალხი იყო, მაგრამ ადგილზე მისულს სრულიად ახალი უცნობი ოფიცერთა შემადგენლობა დახვდა (იმ დროს სასაზღვრო შემადგენლობის გადაადგილების ღონისძიება ტერიტორიულ პარტიულ ორგანოებს არ უთანხმდებოდნენ).

აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის კირილე ბუჭვაიას მოთხოვნით რეკავენ კომენდატორაში, იქაც ახლად დანიშნული ოფიცრებმა აღმოჩნდა და როდესაც გამოვიდნენ, ამ ამბით შეცბუნებული საოლქო კომიტეტის მდივანი ბუჭვაია ზასტავიდან პირდაპირი ხაზით უკავშირდება საქართველოს უშიშროების მინისტრს გამერალ ნ. რუხადეს (როგორც წესი მაშინდელი ცენტრალური კომიტეტისა და უშიშროების პირველი პირები კრემლის მაგალითზე გამთენიამდე მუშაობდნენ).

გენერალმა რუხადემ მოისმინა რა ბუჭვაიას ნათქვამი ან კუროზული შემთხვევის შესახებ, თურმე ხარხარე ატეხა და მეგობრული ტონით უთქვამს, კირილე გიორგიევი, ყველაფერი ხდება, მესაზღვრეები უცნაური ხალხია, თქვენს მდგომარეობაში მეც რომ ვყოფილიყავი, ალბათ შენს ბედს გაეზიარებდით (ეს ისე რბილად უთქვამს თითქოს ყველაფერი მისი მოწვეობით არ ყოფილიყო).

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ კომიტეტის მდივანი დიდი მოკრძალებით გააცილეს, მაგრამ გაფორმებული იქნა შესაბამისი აქტი, რომელშიც ძალიან მოხერხებულად იყო ბუჭვაიას დაკავების პროცედურა, დრო და ადგილი დაფიქსირებული აქტის ტექსტში თავისებური ფორმულირების ჩათვლით, როცნობი, რომელსაც დაკავების პროცესში პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ აღმოაჩნდა, მეტად გაურკვეველ ვითარებაში თავი წარმოადგინა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანად.

კირილე გიორგის ძე ბუჭვაიამ, რომელმაც მომხდარი სუფთა შემთხვევით მოკვლენად ჩათვალა, უფლებრივ კაპრიზად მიიღო და დაიწვევას მისცა, მაგრამ ამ დროს აზრად არ მოსვლია ამ თავგადასავლით მოგვიანებით მას სხვა ბრალდებათა შორის როგორ დასწამებდნენ თურქეთის დაზვერვის ემისრობას.

ნ. რუხადის მიერ, აჭარის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს საკომპრომენტაციოდ მოწვეობილი ცვენარის საფუძველად დაელი შექმნათ ბრალდების საოცარი მაგალითი, რომელიც რუხადის ჩეკას აპარატში სხვადასხვა საშუალებით შემზადებული ისეთი შინაარსით ექცადა,

რომ მის რეალობაში ეჭვის შეტანა, მართლაც რომ შეუძლებელი ხდებოდა.

1951 წლისათვის ეგრეთწოდებული „მეგრულთა ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფის“ შესახებ მასალები უკვე შეკრული და აკინძული საქართველოს უშიშროების მინისტრის გენერალ-ლეიტენანტი რუხადის საგანგებო საქალაქეში დევს.

ნოყიერი ნიადაგიც არსებობს ამ პერიოდისათვის, ი. სტალინი ლიკანში და წყალტუბოში ისვენებს, ბელადთან დაახლოებული პირები, სიერმიდან მეგობრებიდან ბელადთან სულ უფრო ხშირად არიან, ხელეიდან არ უშვებენ ყველა ხელსაყრელ შემთხვევას მეგრულთა საწინააღმდეგოდ რაიმე ახალი აუცი მიაწოდონ.

წყალტუბოში სტალინს გიორგი ივანეს ძე ელისაბედაშვილმა, მანქანიდან დაანახა ერთ-ერთი უმესანისშავისი ცალკე შემოკაგებულში მდგარი ორსართულიანი ვილა, მოკლილი, დავარცხნილი ეხო-კარით, ხეხილის ბაღითა და დეკორატიული ყვავილნარით და უთხრა, ეს „სასახლე“ პირადი საკუთრებაა წყალტუბოს საკურორტო სამართველოს უფროსის, მეგრული თავადის შთამომავლის ვინმე ჩიქოვანის, რომელსაც ჰყავს საკუთარი მსხვილფეხა საქონელი, ჯიშისანი მეწველი ძროხები, საუკეთესო საჯდომი ცხენები, ცხვრისა და თხების ფარა, ღორების კოლტი და უამრავი ფრთა ფრინველი; განუსაზღვრელი მომსახურე პერსონალი, ერთი სიტყვით თავადი, ყოფილი ჩიქოვანი წყალტუბოს ბატონ-პატრონია და სამეგრელოს ყოფილი მთავრის დადიანის დონეზე ცხოვრობს.

ამის შესახებ გ. ელისაბედაშვილმა დაიტრახა თავისიანებში, რომელიც სულ მალე ფართო წრისათვის ცნობილი გახდა: ბელადთან დაახლოებული ერთ-ერთი პიროვნების მეუღლემ „მეგრულთა მაროდ“ წოდებულმა სოსოს, მეგრელებზე ბევრი რამ ჩაუჭიკტაო.

ოსებს სტალინი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანთან შემდგარი საუბრის შემდეგ ამ უკანასკნელის შუამდგომლობით იღებს საქართველოს უშიშროების მინისტრის გენერალ რუხადეს, რომელიც ხსნის განსაკუთრებულ საქალაქედს და ეს გაწვრთნილი პროვოკატორი და კარიერისტი ბელადს ახსენებს მეგრელებზე არსებულ ანტისახელმწიფოებრივ მასალებს, ამის შემდეგ, რაღაც ერთი თვის განმავლობაში იბადება საქართველოს საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ეგრეთწოდებული „მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიული ჯგუფი“ ამას მოსდევს ჯერ პირველი, ხოლო შემდეგ მეორე დახურული წერილები, სადაც მეგრული წარმოშობის ქართული პარტიული ხელმძღვანელები მუშაკების ანტისახელმწიფოებრივ მოღალატურ საქმიანობაზე საუბრობ.

აუცილებლად მიმანია მკითხველმა გაიგოს ი. სტალინის დამოკიდებულება „მეგრულთა საქმის“ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მეგრულთა საკომპრომენტაციოდ ზედა მასალები მოხსენდა იგი ამისათვის ჩვეული სიინფიჯით, მაინც სხვადასხვა საშუალებებით ახდენს არსებული მასალების გადამოწმებას.

აკაკი მეგლაძემ 60-იან წლებში, როცა ის უკვე თანამდებობიდან განთავისუფლებული იყო, აღიარა: როდესაც, მე, ჯერ კიდევ აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანად ვმუშაობდი საბჭოს სამთავრობო რეზოლუციით ბელადთან სტუმრად ვიყავი მოწვეული და სხვა საკითხებთან ერთად მეგრულთა საქმის ირგვლივ დასმულ რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვაზე დავეუდასტურე მეგრულთა შესახებ არსებული მასალების სისწორე, მაგრამ მე, მაშინ ხომ კონიაკით ვიყავი მოვრდი; ორიოდ დღის განხილვის შემდეგ სტალინმა ისევ მიხმო და ამაჯერად უკვე აბსოლუტურად ფიხიელ მდგომარეობაში მყოფს განმეორებით დამისვა კითხვა იმავე მეგრულ თემაზე. მე, კარგად მახსოვდა პირველი საუბარი, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა თუ როგორ მოვახსენე სტალინს მეგრულთა გამცემლურ საქმიანობაზე. მიმმა იმდენად შემიპყრო, რომ იძულებული ვიყავი არ არსებულზე ხელმეორედ მიმეცა დასტური.

ბიორბი ხუფენია (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ივანე ჯავახიშვილი — ქართველ ერის ისტორია

ეს წიგნი 1908 წელს გამოიცა თავად პი. თუმანიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ იგი იმდენად ობიექტურად ასახავს ქართველი ერის წარსულს, რომ კომუნისტებს დიდი ივანეს ეს ნაშრომი არც ცალკე წიგნად გამოუციათ და იგი არც 80-იან წლებში გამოცემულ ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულ შუბტანიათ. ჩვენც შემთხვევით მივაგენით ამ წიგნს ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში და აუცილებლად მივიჩნიეთ მისი გამოქვეყნება, რადგან დიდი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის მიერ მეტად საინტერესო მოსაზრებებია მოყვანილი მეგრული, სვანური და ლაზური ფენომენის თაობაზე. მკითხველს გაუწყობთ, რომ პუბლიკაციაში შენარჩუნებულია ავტორისეული ლექსიკა.

დიდი სულმნათი მეცნიერის აღნიშნულ, უდავოდ საინტერესო და დღემდე უცნობ ნაშრომს ვთავაზობთ გაზეთ "ილორის" მეოთხედს.

ყველაზე სამხრეთით კარდუხები ცხოვრობდნენ (Anabasis III, V, 15); იმათ ქვეყანაში დიოდა მდინარე კინტრიტი (ბერძნული "კინტრიტეს" უკველია ქართულ "კინტრიშს" უდრის), რომელიც კარდუხების ქვეყანას სამხრეთისაგან მსაზღვრავდა (ib. IV, 5). სხვა ქართველ ტომებს ამ დროს განსაკუთრებით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირები და მისი მოსაზღვრე ადგილები სჭირათ: ზოგს ზღვის კიდევები ეკუთვნოდა, ზოგს კიდევ მთა-ადგილები. ყველაზე დასავლეთით ტიბარენნი ცხოვრობდნენ; იმათ ის ქვეყანა ეჭირათ, სადაც ქ. კოტიორა იყო. ამ ქალაქის აღმოსავლეთით ორი დღის სავალზე ტიბარენნი ბინადრობდნენ (ib. V, 5, & 3) არც დასავლეთისა, არც სამხრეთის სამზღვრები ქსენოფონტეს აღნიშნული არა აქვს. ჩრდილოეთით, რასაკვირველია, შავი ზღვა იყო. ტიბარენების აღმოსავლეთით ხალიბები ცხოვრობდნენ (ib. V, 5, & 3);

იმათი პატარა ქვეყანა უმეტეს ნაწილად მთიანი იყო და ტრინის მადანით განთქმული (ib. V, 5, & 1). ხალიბების აღმოსავლეთით მოსინიკები ბინადრობდნენ; მოსინიკების ქვეყნის აღმოსავლეთი სამზღვარი ქალაქ კოტიორის აღმოსავლეთით 7 დღისა და 8 გადასავლის მანძილზე იყო. დასავლეთის სამზღვარი აღმოსავლეთის სამზღვარს 7 გადასავლით აშორავდა; ამგვარი სივანით მთელი ეს ქვეყანა 8 გადასავალზე მეტი არა ყოფილა. თუმცა ქსენოფონტე სამხრეთის სამზღვარზე არაფერს ამბობს, მაგრამ სივანით იგი უფრო ვრცელი უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ იგი ორ ნაწილისაგან შედგებოდა — ერთი ზღვის პირას იყო, მეორეს კიდევ მთიანი ადგილები ეჭირა. მოსინიკების აღმოსავლეთით კოლხები ცხოვრობდნენ. მის დასავლეთს სამზღვარს, რასაკვირველია, მოსინიკების ქვეყანა შეადგენდა. კოლხების ქვეყნის აღმოსავლეთის სამზღვარი ქსენოფონტეს მოხსენებული არა აქვს. ქალაქები ტრაპიზონი და ფარნაკია კოლხების ქვეყანაში იყო (ib. IV, 8, & 22 და V, 3 & 1). კოლხების სამხრეთით დრილები ცხოვრობდნენ; სამზღვარი ქალაქ ტრაპიზონისაგან ერთი დღის სავალზე ცოტა მეტზე მდებარეობდა (ib. V, 2 & 2). სამხრეთ-აღმოსავლეთით კიდევ მაკრონები ცხოვრობდნენ; სამზღვარი იმავე ქალაქთან 2 გადასავლისა და 7 პარასანგის მანძილზე აშორავდა (ib. IV, 22 და IV, & 9). მაკრონებს დაბურული ტყე შემიხილი მთიანი ადგილები ეჭირათ. ამ ქვეყნის სამხრეთის სამზღვარს ის მთა ტეხოსი იყო, საიდანაც პირველად ბერძნებმა ზღვა დაინახეს; იგი ჩრდილოეთ სამზღვრიდან სამი დღისა, 3 გადასავლისა და 10 პარასანგის მანძილზე იყო (ib. IV, 8, & 1, 8). მაკრონების აღმოსავლეთით სკვითინები ბინადრობდნენ; სამზღვარს ერთი რომელიღაც მდინარე იყო (ib. IV, 8, & 1, 3). ქსენოფონტეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ ყველა ქართველი ტომები მე-IV საუკუნეში გაცილებით უფრო ჩრდილოეთით ბინადრობდნენ, ვიდრე XI-XIII საუკუნეების განმავლობაში: ტიბარენნი, მაგალითად, რომელიც ტაბალის სახელით კილიკიის ზემოთა პქონდათ ბინა და მცირე აზიის შუაგული ადგილი ეკავათ, მე-IV საუკუნეში შავი ზღვის ნაპირას ცხოვრობდნენ; მესხები კიდევ, რომელთაც მუსკების სახელით ასურელ მეფეების დროს ის ადგილები ეჭირათ, შემდეგ რომ პონტოს სამეფოს ეკუთვნოდა, პირველ საუკუნეს ქრ. წ. კოლხიდის,

იბერიისა და სომხეთის შორის მდებარეობდა (Strabo, georgia-pica, XI, cap. II, 18) დაახლოებით იმ ადგილას, სადა შემდეგ დროინდელი სამცხე-საათაბაგო იყო. მართალია ასურული წყაროები არავითარ ცნობებს არ გვაძლევენ იმის შესახებ, თუ ვინა ცხოვრობდა შავი ზღვის ნაპირას, იქაც ქართველი ტომები ბინადრობდნენ თუ არა, მაგრამ მაინც ცხადად ჩანს, რომ ქართველებს თავისი ბინადრობის ადგილი მოუცვლიათ: იმ ქვეყნებში, რომელიც წინა ტაბალესა და მუსკებს ეჭირათ, მე-IV საუკ. უკვე სხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ტაბალეს ერთი ნაწილი ასურბანიპალის (668-625 ქრ. წ.) და ციცერონის დროს (epist. ad famil. 15, 4) მხოლოდ კილიკიის მახლობლად იყო შერჩენილი (სამცილინდრიანი მატინაჲ KB. II, 173, 70-77 სტრიქ). თუ არ იძულებით, უმიზეზოდ ერთ თავის მიწა-წყალსა და ბინადრობას არას დროს არ მოჰშორდებოდა და უუკველია, რამე გარეშე მიზეზის გამო უნდა მომხდარიყო. მართლაც საინტერესო წყაროებიდან ჩანს, რომ ასარაჯადო მუფის დროიდან მოყოლებული მცირე აზია თან-და-თან კიმმერიელებით აივსო და წაღვეილი იყო. ჩრდილოეთიდან მოსული კიმმერიელები, ანუ ასურელების გამოთქმით "გიმირია", ჯერ ლიდიელებს მიადგნენ და საქმე გაუჭირვეს (ასარაჯადონის მატინაჲ KB. II, 174-5, სტრიქ. 95-111), მერე ტაბალესა და დანარჩენ ქართველ ტომებს; მთელი ის ადგილი, რომელიც ტაბალესა, მუსკებსა და კასკებს ეჭირათ, დაიპყრეს; ქართველ ტომების უმეტესი ნაწილი, როგორც ეგვიპტის, ითულებული იყო ან დამორჩილებულა და გადაეგვარებულყო, ან არა და ჩრდილოეთისაკენ გაეწია და შავი ზღვის ნაპირას დასახლებულიყო. ამ მიზეზის გამო აღმოიფხვრა ქართველ ტომების სახელი კაბადუკიისა და პონტოსი. ეს აზრი პირველად პ. გელცერმა გამოსთქვა და საისტორიო საბუთებითაც დაამტკიცა, მერე ე. შრადერმა მხარი დაუჭირა. შეიძლება ქართველ ტომებს შავი ზღვის სამხრეთ ნაპირას წინადაც ეცხოვრათ, მაგრამ ქართველების მოსახლეობა კიმმერიელთა შემოსევის შემდეგ შავი ზღვის ნაპირას კაბადუკიითა და პონტოთ დაძვრულ ქართველებს უნდა მიეძღვინათ. საზოგადო კი კიმმერიელთა შემოსევამ ქართველ ტომებს საშინელი ზარალი მისცა და შესაძნეველად შეამცირა. დაბადების პირველ წიგნისა და ასურულ წყაროების მოწმობით ტაბალსა და მუსკს (თუბალსა და მეშეს) ორ ძლიერ ერის სახელით ჰქონდათ მოხვეჭილი, ეხევიელ წინასწარმეტყველის დროს-კი ისინი გოგისა და მაგოგის ქვეშემდომებად ითვლებოდნენ, ხოლო პეროდონტესა და განსაკუთრებით ქსენოფონტეს დროს პატარა და უმთხვეველ ტომებად იყვნენ. ასეთი საშინელი გავლენა ჰქონდა კიმმერიელთა და სხვა ინდოევროპულ ტომების შემოსევას მცირე აზიაში ქართველების ძლიერებასა და ბედობადაც.

ის მიწები, რომელიც წინა ქართველ ტომებს ეკუთვნოდათ, მერე სხვა და სხვა ინდოევროპულ მოდგმის ტომებმა დაიპყრეს და დასაკუთრეს. ამგვარად, კაბადუკიისა და პონტოს, ლიდიისა და ფრიგიის ბერძნების-დროინდელი და ეს-ლანდელი მცხოვრებნი სამ-ოთხ სხვა და სხვა ერის ადრევისაგან არიან წარმომდგარნი; მათი ენა, რამდენადაც ბერძნული წყაროებიდან ჩანს, ნარევი ენა და მეცნიერს იქ შეუძლიან ბევრი ისეთი სიტყვა იპოვონ, რომელიც არც ინდოევროპულს, არც სემიტურ ენათა ჯგუფს არ ეკუთვნის; ეს ჩინებულია აქვს გამოკვლეული ბერძნულ ენის ისტორიის მკვლევარს P. Kretschmer-ს (Einleitung in die deschichte der griechischen Sprache, 1896, Kapitel X). მის საინტერესო წიგნში ბევრი საგულისხმო ცნობები შეკრებილი ამ ენების შესახებ. რასაკვირველია, იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რომელ ენათა ჯგუფს ეკუთვნოდა ამ ენების ძირითადი ნიშნები, მეტად ძნელია და მხოლოდ ორიოდ ისეთი მაგალითი მომაკვს, რომელსაც უნებლიე ყურადღება მივაქცივ.

მცირე აზიის სხვა და სხვა ადგილას ხალხში უცნაური საკუთარი სახელები ჩვეულებრივ ქართულ სახელებს საკვირველად ჰგვანან, მაგალითად: ბაბა (ფრიგიასში), პაბოა (ლაოლიკიაში) Baba, Babas (იხ. P. Kretschmer, Einleitung, 336) შეადარე "ბაბუა"-ს; "მამა", "მამია" Mama, mammia (ლიკინიასა, ლაოლიკიასა და ისავრიაში, idid. 338-9) შეადარე ქართულს

"მამა"-ს და "მამია"-ს; "ნანნო Nanno (კილიკიაში, id. 342) შეადარე ქართულს "ნანო"-ს; "ნონნე" Nonne (ფრიგიასა და ლაოლიკიაში, id. 343) შეადარე "ნონე"-ს; "ნინნის", "ნინნიოს" ninnis, Ninnios (ისავრიაში, id. 343) შეადარე "ნინია"-ს; "დუდო" Doudo (იდ. 388) შეადარე "დოდო"-ს; "კაკას"; "კაკის" Kakkas, Kakkis (ისავრიაში და ლიკადონიაში, id. 351) შეადარე "კაკა"; "კაკი"-ს, ერთ ტაბალელ მეფეს "კაკი-აკი" ერქო (KB, II, 38-9); "ლალა", "ლალა"-ს Lalla, lallas (ლიკიაში, id. 351) შეადარე "ლალა"-ს, ერთს მუსკების მეფესაც Lalla მელიდელი ერქვა (KB, I, 143, 171) "სუსუ" Soused (ფრიგიასა და ლაოლიკიაში, id. 352) შეადარე "სოსო"-ს; "ტატეს", "ტატეს" Tatte, Tates (ლიკიაში, id. 352) შეადარე "ტატე"-ს; "ტატია" Tatia (ყველგან მცირე აზიაში, id. 348, 349). შეადარე "ტატე"-ს; "გეგეს" Geges, ასურულად Gugli ლიდიელ მეფის სახელია (id. 388), შეადარე "გიგო"-ს; "ზიპიტეს" (მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, id. 336) შეადარე "ზიპუ"-ს; მართალია, ზოგიერთი ზემომოყვანილია ქართული სახელები, როგორც, მაგალითად, გიგო, ტატე, სოსო ქრისტიანულ გრიგოლის, ესტატეს და იოსების შემოკლებად ითვლება ხოლმე, მაგრამ, როგორა ჩანს, ეს სახელები ქრისტიანობის წინადაც ყოფილა ქართველობაში გავრცელებული, მხოლოდ როცა ჩვენს ხალხს ქრისტიანობა მიუღია, მაშინ გარეგან მსგავსების გამო შემოკლებულ სახელებად ჩაუთვლიათ. რასაკვირველია, მარტო ეს მასალა არ კმარა, მაგრამ მაინც საყურადღებო მსგავსება ქართულსა და იქაურ სახელებს შორის და შესაძლებელია ეს ტაბალ-მუსკების ანუ ქართულ ენის კვალს ეკუთვნოდეს.

ქსენოფონტეს შემდგომ სამი საუკუნის განმავლობაში ბერძნების მწვერლობაში ქართველ ტომების შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება. მხოლოდ პირველი საუკუნის დამდეგს ქრისტიანობის შემდეგ მცირე სტრაბონმა აღწერა სხვათა შორის ის ქვეყნებიც, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ. ამ აღწერილობის დახმარებით მკვლევარს შეუძლიან მიხვდეს, რა უნდა მომხდარიყო იმ სამ საუკუნის განმავლობაში. სტრაბონი ძვირფასს და ვრცელს ცნობებს გვაწვდის, საზოგადოდ კავკასიისა, იბერიისა და ალბანიის აღწერა ხომ პირველად მის თხზულებებში ვხვდებით და ეს ქვეყნები იმაზე წინად არავის აუწერია. ეს კი უნდა სთქვას კაცმა, რომ სტრაბონის თხზულებაში შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები და ამიერ კავკასია გაცილებით უფრო უკეთესად არის აღწერილი, ვიდრე შავი ზღვის სამხრეთი ნაპირები; ალბათ, ეს ადგილები თითო სტრაბონის ნახანა არ უნდა ჰქონდეს.

ეხლანდელ ხალხებს ძველად ხალიბებს ეძახდნენო, სწორედ იმათ ქვეყანაში ძვეს ფარნაკია, რომელსაც ხმელეთზე მადანის მდარეობები აქვს და ზღვაც მის კეთილდღეობას ხელს უწყობსო (Geographia lid. XII, cap. 3, 19). ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზევით ტიბარენნი, ხალხები და ზანები ცხოვრობდნენ, რომელთაც წინადაც მაკრონებს ეძახდნენ, ხოლო შემდეგ მცირე სომხების მდებარეობსო, სწორედ იგივე ავტორი (ib. lid. XII, cap. 3, 18). მაშასადამე ტრაპიზონისა და ფარნაკიის დასავლეთით ჯერ ტიბარენნი ბინადრობდნენ, მერე ხალხები, ანუ ხალიბები და მაკრონები, რომელთაც სტრაბონის დროს ზანებს (ან ჭანებს) ეძახდნენ. აღმოსავლეთით ქართველ ტომების მიწებს მცირე სომხეთი მსაზღვრავდა; სტრაბონი ამბობს: ფარნაკიისა და ტრაპიზონის მიდამოების ზევით ვიდრე მცირე სომხეთამდე ტიბარენნი და ხალხები ბინადრობდნენო (id. lid XII, cap. 3, 28). მაგრამ სტრაბონის თხზულების ერთ სხვა ადგილიდან ჩანს, რომ მცირე სომხეთი ქართველ ტომების მოსახლეობის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრად უნდა ჩაითვალოს. ტიბარენებისა და ხალხებისა, ფარნაკიისა და ტრაპიზონის მფლობელად ვიდრე კოლხიდანამდე პუოდორა იყო (id. lid XII, cap. 3, 29). ჩვენ ვიცით, რომ კოლხიდა მცირე სომხეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა; ამიტომ კოლხიდა ხალიბების ჩრდილო-აღმოსავლეთის სამზღვრად, ხოლო მცირე სომხეთი აღმოსავლეთის სამზღვრად უნდა ჩაითვალოს. ჩრდილოეთით ხალხების ქვეყანას შავი ზღვა მსაზღვრავდა. ამ ადგილას ნაპირი მეტად ვიწროა, ტყით შემოსილი და მადანით სავსე მთები იქვე ზღვას დაჰყურებს, ხოლო სახნავი მიწა ძა-

ლიან ცოტააო (id. lid XII, cap. 3, 19). ხალიბების ქვეყნის სამხრეთის სამზღვრად ერთი მეტად ციცაბო მთა სკედისი ითვლებოდა, რომელიც მესხეთის მთებს უერთდებოდა... და წვერზე ჰეპტაკომეტები არის დასახლებული; მერე მდის პარიადრი სიდენისა და თემისკირიდან მოყოლებული ვიდრე მცირე სომხეთამდე (id. lid XII, cap. 3, 18). ყველა ამ ადგილების მკვიდრი კი მეტად ველურები არიანო, ამბობს სტრაბონი, განსაკუთრებით კი ჰეპტაკომეტები. ზოგი მათგანი ხის კოშკებში ცხოვრობს; ამის გამო ძველად მათ მოსსკნიკებს ეძახდნენ, რადგან ამგვარ კოშკებს მოსსკნიკები ერქვაო; ზოგიერთი ამ ველურებს ვეხირებოდაც ეძახიან (id. lid XII, cap. 3, 18). მაშასადამე ამ ტომებს სახელად მოსსინიკები რქმევიათ. ხოლო იმათ, რომელნიც სკედისის მთის მწვერვალზე ბინადრობდნენ, თურმე ჰეპტაკომეტებს ეძახდნენ. ცხადია, ეს სიტყვა ხალხის სახელი არ უნდა ყოფილიყო. ბერძნულად იგი "შიდ სოფლის მცხოვრებლებსა" ნიშნავს. არსებობდა მართლა ასეთი სახელწოდება თუ არა? უუკველია არსებობდა ოცი საუკუნის შემდგომ, ეხლაც კი შენახულია ეს სახელი. ინგლისის კონსული ბ. ჯოფ-ფორდი თავის ანგარიშში მოგვითხრობს, რომ ტრაპიზონის სანჯაკის (ოლქის) მცირე მაზრას (ნიპია), რომელიც სხვადასხვა "კურა სებაა", ანუ "შიდი სოფელი" ჰქვია, რისეც მახლობლად, ამ ქვეყნის შუაგულ მთებში მდებარეობსო (იხ. Известия Кавказ. O. P. Georp. Общ. 1881 წ. წიგნი VII, დამატება, გვ. 50). "კურა სებაა" იგივე "შეტ კომეტა" შიდი სოფელსა ნიშნავს; იგი მხოლოდ ამ სიტყვის არაბული თარგმანია (კურა — სოფელი, სებაა — შიდი); ხოლო არაბულად იმიტომ არის ნათარგმნი, რომ წინადაც ოფიციალურ მიწერ-მოწერის დროს ოსმალეთში არაბულ ენას ხმარობდნენ ხოლმე. "კურა სებაა"-ც სწორედ იმ ადგილას მდებარეობს, სადაც ჰეპტაკომეტები ცხოვრობდნენ. ცხადია მაშასადამე "კურა სებაა"-ც და "ჰეპტაკომე"-ც ადგილობრივი სახელის თარგმანი უნდა იყოს. იქნებ იმ მთის სახელში, რომლის მწვერვალზედაც "შიდსოფლები" ცხოვრობდნენ, ადგილობრივი სახელწოდება იყოს კიდევ შენახული; "სკედისის" (o eskedios) იქნებ ბერძნულად გადმოცემული "შკვიდიში" იყოს, რაც (შკვიტი) მეგრულად შვიდსა ნიშნავს; "შ"-ის მავიერ ბერძნულად "ს"-ანი იმიტომა ზის, რომ ბერძნებს ბგერა "შ"-ინი არ მოეპოვებათ. თუ ეს სწორედ გამოდგა, მაშინ ამ სიტყვის მხოლოდ პირველი ნაწილი ყოფილა შერჩენილი; ხოლო ამ ადგილს "შიდსოფელი"-ს სახელი იმიტომ დაერქმეოდა, რომ მოსახლეობა იქ ალბათ შიდი სოფლად ყოფილა დანაწილებული. ეს ჰეპტაკომეტები, ანუ შიდი სოფლები მოსსინიკები, ანუ მეგრულ-ჭანურ შტოს წარმომადგენელ ტომის ხალხი ყოფილან.

ქართველების პოლიტიკური და ეროვნული მდგომარეობა შავი ზღვის სამხრეთის ნაპირას სამი საუკუნის განმავლობაში ქრისტეს დაბადებამდე შესაძნეველად შეცვლილა. ის ადგილები, რომელიც წინადაც კოლხებსა და მოსსინიკებს ეჭირათ, სტრაბონის დროს ხალხების ხელში ყოფილა; მაშასადამე სამ საუკუნის განმავლობაში კოლხები მათ აღმოსავლეთისკენ, მოსსინიკები კიდევ სამხრეთისაკენ მთებში გაურეკნიათ. (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ბაიბარტა კონფერენცია თემაზე:

2008 წლის აპრილის თემა: პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერ-მორალური შედეგები.

დონისიძეებს ესწრებოდნენ ქართველი ექსპერტები, უფლებადამცველები, ჟურნალისტები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, აგრეთვე დევნილები კონფლიქტის რეგიონიდან. ამჟამად დროს შედგა არასამთავრობო ორგანიზაცია "ევრაზიის ინსტიტუტის" მიერ მომზადებული ბროშურის პრეზენტაცია, რომელშიც გაანალიზებულია და მხილებულია დღევანდელი ოფიციალური თბილისის უპასუხისმგებლო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, რისი ნეგატიური შედეგებიც, როგორც საქართველოსათვის, ისე რეგიონისათვის მთლიანად, დღეს ყველასათვის ნათელია.

კონფერენცია ძირითადი მოტივი გახლდათ სოხუმისა და ცხინვალის მიმართ სააკაშვილის და მისი გარემოცვის მიერ გატარებული არაკორექტული პოლიტიკა, რამაც მივიყვანა უზარო ომამდე და ტრაგიკულ შედეგებამდე. ასევე შეფასება მიეცა ცხინვალის წინააღმდეგ ორგანიზებული შეიარაღებული აგრესიის საქმეში სააკაშვილის, კუჩუაშვილის, მერაბიშვილის, თარგამაძის, ბოკერიას და სხვების დანაშაულებრივი ქმედებები. ამჟამად დროს აღინიშნა სამხრეთ კავკასიაში რუსეთისათვის პირის მოსახლეობა, ამ მართონებების გამოყენებაში აშშ-ს როლი, რაც, საბოლოო ჯამში, მეტად ძვირი დაუჯდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს. განხილულ იქნა, ასევე, საქართველოს საერთაშორისო სფეროში მარგინალიზაციის მიზეზები, რაც მიხედვით სააკაშვილის და მისი პოლიტიკური გარემოცვის დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგი გახლავთ. სწორედ ამას მოჰყვა ცხოვრების დონის გაუარესება, ხალხის იმიგრაცია და საქართველოს სახელმწიფოებრიობის მომავლისადმი დაუძვება.

უკვე აშკარად გამოიხატა აშშ-ს ნეგატიური როლი სააკაშვილის წაქეზებაში ომის დასაწყებად და მართლმადიდებლურ რუსეთთან ტრადიციული და მომავლის ურთიერთობების სანაცვლოდ დასავლეთში უკანმოუხედავად და ანგარიშმიუხედავად ორიენტაციის პოლიტიკური და ეკონომიკური უპერსპექტივობა.

კონფერენცია გახსნა არასამთავრობო ორგანიზაცია "ისტორიული მემკვიდრეობის" თავმჯდომარის ტარტაქ ბაბინიძემ, რომელმაც აღნიშნა:

– ორი წელი გავიდა აგვისტოს ტრაგედიიდან, რამაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გთხოვთ, ფეხზე აღვდგეთ ვცეთ პატივი მათ ხსოვნას!

უამრავი შეფასება მოვისმინეთ ამის თაობაზე, მაგრამ რაფინირებული სიმართლე ჯერ მაინც ხელმისაწვდომი არ არის ფართო საზოგადოებისათვის.

კითხვა უამრავია – რა იყო ცხინვალის ომი, ლოკალური კონფლიქტი თუ გლობალური კატაკლიზმი, როგორ ვითარდებოდა მთელი მოვლენები საქართველოში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, რა როლს თამაშობს საქართველოს შიდა პოლიტიკაში არაქართული ძალა და სხვა.

ამჟამად საქართველოში გამალებით მიმდინარეობს ისტორიის შერყენილად გადაწერა, ფაქტობრივად ახალი ისტორიის შექმნა, სადაც რუსეთი ბოროტების საწყისად და წარმოდგენილი, პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნები კი ამ ბოროტების მსხვერპლად. მარტივად რომ ვთქვათ, წარსულის ამგვარი შეფასება დიდი უმადურობაა, რადგან მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში განათლების, ლიტერატურის, კულტურის ამაღლება და მართლმადიდებლური რელიგიის აღორძინება სწორედ რუსეთის სულიერ სივრცეში განსწავლული ქართველების ძალისხმევით შედეგია, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის ახალციხისა და ჯავახეთის მიწების გამოცემა და საქართველოსათვის შემოერთებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების პროპაგანდისტული მანქანა კი ანგაურებული ქართველი პოლიტიკოსების მეშვეობით უმტკიცებებს მთელ მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც "სიბოროტის იმპერია", თავისუფალი ერების ციხე იყო. და ამას გვინერგავს ის ამერიკა, რომელმაც პრაქტიკულად გაგვიანდგურა საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში აღორძინებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, განათლება, და რომელიც დაუნდობლად ებრძვის ყველა ქართველისათვის სანუკვარ მართლმადიდებლობას.

ანტირუსული მოძრაობა საქართველოში განსაკუთრებით "გარდების რევოლუციის" შემდეგ გაიშალა. საქართველოში ახლა ყველაფერს პრაქტიკულად ამერიკელები აკონტროლებენ და არც იმაში ეპარება ეჭვი ვინმეს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ამერიკელთა წაქეზებით წამოიწყო. ეს ომი გახლდათ ჯონ მაკკეინის საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური ნაწილი, რადგან მისი რეიტინგი საკმაოდ მეტად დაბალი იყო, რაც არჩევნების საბოლოო შედეგმა დაადასტურა კიდევ.

ვერც ჩვენ მოვიგეთ ვერაფერი ამ ომით და ვერც მაკკეინმა, საქართველოში კი დამკვიდრდა ნიჰილიზმი, სრული უიმედობა, უპერსპექტივობის განცდა, და რაც მთავარია, ამერიკამ მიადწია სასურველ მიზანს – ერთმანეთს მტრად გადააქიდა მეგობრული ქვეყნები – რუსეთი და საქართველო!

სწორედ ამ სინდრომის აღმოფხვრა ჩვენი ძირითადი მიზანია...
იონა თამარაშვილი, გორის სუბივილის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი: საქართველო დღეს ფაქტობრივად ორი უძლიერესი ქვეყნის იდეოლოგიითაა შეჯახების პოლიგონად არის ქცეული, რაც მეტად საფრთხილო საქმეა და დიდ გამჭრიახობას მოითხოვს ჩვენგან. შეიძლება გორის მოსახლეობას ამ ომში მართლაც მიაღწია დიდი მორალური და სულიერი ზიანი, დაიხრია უდანაშაულო მოსახლეობა, მაგრამ აუცილებელია გადავძლიეროთ ჩვენი და მოლაპარაკების მაგიდას მივუსხდეთ რუსეთთან, რადგან მხოლოდ წყნარ ვერც რუსებს მოუტანს სასურველ შედეგს და ვერც ქართველებს. საჭიროა ახალი ურთიერთობების დამყარება ომის განცდით, რომ, წარსული წარსულია, მომავალი კი ჩვენი ერთად ყოფნის გარდაუვალობა...

ნანა დეგრაძიანი, პროფესორი, ყოფილი სახალხო დამცველი: ჩვენ ახლა არც სხვათაგანში უნდა ვეძებთ შეგა და არც თვითონ უნდა ვეძებთ დანაშაულს. შეიარაღებულ კონფლიქტს, რომელსაც უდანაშაულო ხალხის მსხვერპლი მოჰყვა, გამართლება არა აქვს. ზოგიერთი აქ გამოთქმული აზრი კონფლიქტის ორივე მხარის დანაშაულის თაობაზე საკამათოა, მაგრამ სახეზე გვაქვს დანაშაული და ახლა საჭიროა გარკვეული რაოდენობის ტარება, რათა გარკვეული იქნას ამ დანაშაულის მიზეზობრივი მხარეები, რაც მომავალში კატეგორიულად გამორიცხავს მათამაკველი ომის ახალი ტალღის წარმოქმნის შესაძლებლობას. სტალინის ძეგლის გორიდან გატანა არ იყო შემთხვევითი მოვლენა. მართალია, კომუნისტურ იდეოლოგიაზე უარი ვთქვით, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფრისათვის ზურგის შექცევა მთლად გამართლებული საქციელი არ გახლდათ. უკვე აშკარა გახდა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მტკიცედ მიყვება ტროცისტების გზას – მხოლოდ 1937 წელი აქვთ ამოჩემებული და აღარაფერს ამბობენ იმ წარმატებებზე, რასაც საბჭოთა კავშირმა მიადწია დროის მცირე მონაკვეთში, არაფერს ამბობენ იმაზე, რომ სტალინის ხელისუფლებამ მსოფლიო კაცობრიობა იხსნა ფაშისმიის მიმე უღლისაგან. როგორც ითქვა, ახლა მიმდინარეობს იდეოლოგიითაა შეჯახება, რომლის პოლიგონადაც რატომღაც საქართველო არის ქცეული, ამიტომაც გვჭირდება დიდი სიფრთხილე. თუ რუსეთთან საერთო ენას ვერ გამოვიხატავთ, გამოვიცხადებთ არ არის, იმაზე მძიმე დარტყმები მივიღოთ, ვიდრე აგვისტოს ომი იყო. მინდა ვიხილო ჩემი ქვეყანა ისეთად, როგორადაც ღმერთმა გააჩინა. აუცილებელია რუს კოლეგებთან შეხვედრა, მაგრამ მანამდე ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ერთიანი აზრი...

როლანდ ჯალაღანიძე, გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი: უკვე ორი წელი გავიდა იმ ავბედითი ომის დაწყების დღიდან, მაგრამ მასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი ჯერაც იდუმალად არის მოსილი. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყო: უკვე დიდი ხანია დადგინეს ისტორიკოსებმა ადრეული ეპოქაში მომხდარი სისხლისმღვრელი ომების მიზეზობრივი მხარეები, გუშინ მომდარი ამჟამინდელი მთამაკველი ომის მიზეზებში კი საფუძვლიანად ვერ გავრკვეულვართ. ვინ არ იკვლევს ჩვენი ერთმანეთისადმი ასე მტრად მოქცევის საქმეს... გარდა ქართველებისა და რუსებისა! მართალი ვიქნებით თუ ვიტყვი, რომ ესეც ფართო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით კეთდება. მაგალითად, როგორ უნდა დამიღვინოს მე ვიღაც პაიდი ტალიავინმა ჭეშმარიტება, რომელმაც არაფერი იცის ჩვენი ურთიერთობის ისტორიაზე, იმის თაობაზე თუ რა გაკეთდა და რა გაფუჭდა საქართველო-რუსეთის ორასწლიანი თანადგომის მანძილზე. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება მან რამე იცოდეს იმის თაობაზე, რომ თუ ვინ და როდის დაიწყო საქართველოსა და რუსეთის საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობებში განხეთქილების შეტანა. დღევანდელი მიდის დავა იმის თაობაზე, თუ ვინ გამოიყენა გადაწყვეტილებები ძალა ამ ორივე ქვეყნისათვის სამარცხვინო და ყოფილად გაუპართლებელ ომში, მაგრამ არავის საუბრობს იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა ამ კონფლიქტის წარმოქმნა, რა გახლდათ მისი წინაპირობა. როცა რამე ფაქტის მიზეზობრივი მხარის დაზუსტება სურდა, კოხმა პრუტკოვი ამბობდა: "Зри в корень". ჩვენ კი ცოცხალი თავით არ გვირდა ჩავეძიოთ საქმის ფესვებს, არ ვითვალისწინებთ ჩვენს დიდ წინაპართა პოზიციებს და მზად ვართ ვიღაც პაიდი ტალიავინის დასკვნას ვენდოთ ბრმად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერასოდეს დავადგენთ ჭეშმარიტებას და საქართველო-რუსეთის მომავალ ურთიერთობას, კიდევ დიდი ხნის მანძილზე, ავბედითი შლეიფად გაჰყვება ამ ომის ექო. რა უნდა ვიღებოთ მდგომარეობის გამოსწორებაზე? ეს საკითხი უნდა შეისწავლოს არა ევროკომისიამ, რომელსაც დიდად არ ანადვლებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ხშირად გამოიშველურ საქმიანობასაც კი ეწევა ამ ორი ქვეყნის მიმართ. ჭეშმარიტების დასადგენად უნდა შეიქმნას საქართველო-რუსეთის ერთობლივი კომისია, რომელიც ორივე მხრიდან პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბდება სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციითაა წარმომადგენლობა. დაე იდავონ მათ ერთმანეთში, თუნდაც იხსუნონ კიდევ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ქართველები და რუსები, ერთობლივი მუშაობით დაადგენენ ჭეშმარიტებას, რაზედაც აივება ახალი ურთიერთობები. არ მინდა ვიფიქრო, რომ პოლიტიკურ ავანტიურისტ ელუარდ შევარდნაძეს, მის აღზრდილ მიხეილ სააკაშვილს და ზოგიერთ რუს ვაიპოლიტიკოსს ძალუთ საშუალოდ დასამარონ ის დიდი მეგობრობა და თანადგომის სიკეთე, რასაც საუკუნეთა განმავლობაში რუსეთის აშენებდნენ ჩვენი დიდი წინაპრები! ჩვენს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ერთი უმთავრესია დადგინდეს, ვინ დაიწყო ეს ომი, რათა დამნაშავეს ღირსეული სასჯელი მიეცოს! მაგრამ, დასადგენია ევროპა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება – თუ რატომ დაიწყო ეს ომი! ამის დადგენა კი აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში არ განმეორდეს მსგავსი სამარცხვინო პრეცედენტი და ორივე სახელმწიფო მთელი მსოფლიოს დაცინვის ობიექტად არ იქცეს! თუ გავითვალისწინებთ გარე სამყაროს არც თუ მთლად კეთილმოყვრულ დამოკიდებულებას როგორც რუსეთის, ისე საქართველოსადმი, გამორიცხული არ არის, რომ ჩვენმა მტრებმა კიდევ მოაწიონ რაიმე პროვოკაცია. ამიტომ არის აუცილებელი ამგვარი კომისიის შექმნა, რათა დროულად იქნეს აცილებული თავიდან ყოველგვარი გაუგებრობა!

კავშირებული მრავალი ასპექტი ჯერაც იდუმალად არის მოსილი.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყო: უკვე დიდი ხანია დადგინეს ისტორიკოსებმა ადრეული ეპოქაში მომხდარი სისხლისმღვრელი ომების მიზეზობრივი მხარეები, გუშინ მომდარი ამჟამინდელი მთამაკველი ომის მიზეზებში კი საფუძვლიანად ვერ გავრკვეულვართ.

ვინ არ იკვლევს ჩვენი ერთმანეთისადმი ასე მტრად მოქცევის საქმეს... გარდა ქართველებისა და რუსებისა!

მართალი ვიქნებით თუ ვიტყვი, რომ ესეც ფართო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით კეთდება.

მაგალითად, როგორ უნდა დამიღვინოს მე ვიღაც პაიდი ტალიავინმა ჭეშმარიტება, რომელმაც არაფერი იცის ჩვენი ურთიერთობის ისტორიაზე, იმის თაობაზე თუ რა გაკეთდა და რა გაფუჭდა საქართველო-რუსეთის ორასწლიანი თანადგომის მანძილზე. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება მან რამე იცოდეს იმის თაობაზე, რომ თუ ვინ და როდის დაიწყო საქართველოსა და რუსეთის საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობებში განხეთქილების შეტანა.

დღევანდელი მიდის დავა იმის თაობაზე, თუ ვინ გამოიყენა გადაწყვეტილებები ძალა ამ ორივე ქვეყნისათვის სამარცხვინო და ყოფილად გაუპართლებელ ომში, მაგრამ არავის საუბრობს იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა ამ კონფლიქტის წარმოქმნა, რა გახლდათ მისი წინაპირობა.

როცა რამე ფაქტის მიზეზობრივი მხარის დაზუსტება სურდა, კოხმა პრუტკოვი ამბობდა: "Зри в корень". ჩვენ კი ცოცხალი თავით არ გვირდა ჩავეძიოთ საქმის ფესვებს, არ ვითვალისწინებთ ჩვენს დიდ წინაპართა პოზიციებს და მზად ვართ ვიღაც პაიდი ტალიავინის დასკვნას ვენდოთ ბრმად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვერასოდეს დავადგენთ ჭეშმარიტებას და საქართველო-რუსეთის მომავალ ურთიერთობას, კიდევ დიდი ხნის მანძილზე, ავბედითი შლეიფად გაჰყვება ამ ომის ექო.

რა უნდა ვიღებოთ მდგომარეობის გამოსწორებაზე?

ეს საკითხი უნდა შეისწავლოს არა ევროკომისიამ, რომელსაც დიდად არ ანადვლებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები და ხშირად გამოიშველურ საქმიანობასაც კი ეწევა ამ ორი ქვეყნის მიმართ.

ჭეშმარიტების დასადგენად უნდა შეიქმნას საქართველო-რუსეთის ერთობლივი კომისია, რომელიც ორივე მხრიდან პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბდება სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციითაა წარმომადგენლობა. დაე იდავონ მათ ერთმანეთში, თუნდაც იხსუნონ კიდევ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ქართველები და რუსები, ერთობლივი მუშაობით დაადგენენ ჭეშმარიტებას, რაზედაც აივება ახალი ურთიერთობები.

არ მინდა ვიფიქრო, რომ პოლიტიკურ ავანტიურისტ ელუარდ შევარდნაძეს, მის აღზრდილ მიხეილ სააკაშვილს და ზოგიერთ რუს ვაიპოლიტიკოსს ძალუთ საშუალოდ დასამარონ ის დიდი მეგობრობა და თანადგომის სიკეთე, რასაც საუკუნეთა განმავლობაში რუსეთის აშენებდნენ ჩვენი დიდი წინაპრები!

ჩვენს შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ერთი უმთავრესია დადგინდეს, ვინ დაიწყო ეს ომი, რათა დამნაშავეს ღირსეული სასჯელი მიეცოს!

მაგრამ, დასადგენია ევროპა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება – თუ რატომ დაიწყო ეს ომი!

ამის დადგენა კი აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში არ განმეორდეს მსგავსი სამარცხვინო პრეცედენტი და ორივე სახელმწიფო მთელი მსოფლიოს დაცინვის ობიექტად არ იქცეს! თუ გავითვალისწინებთ გარე სამყაროს არც თუ მთლად კეთილმოყვრულ დამოკიდებულებას როგორც რუსეთის, ისე საქართველოსადმი, გამორიცხული არ არის, რომ ჩვენმა მტრებმა კიდევ მოაწიონ რაიმე პროვოკაცია.

ამიტომ არის აუცილებელი ამგვარი კომისიის შექმნა, რათა დროულად იქნეს აცილებული თავიდან ყოველგვარი გაუგებრობა!

ორ ქვეყანას შორის მომხდარ გაუგებრობაში თვით უმნიშვნელო წვრილმანის მიფუნქციონირება კი არ შეიძლება. სიმართლეს ერთნაირად უნდა გაუფსწოროთ თვალს, როგორც ქართველებმა, ასევე რუსებმა!

მდგომარეობა აშკარად არ არის სახარბიელო საქართველოსათვის, მაგრამ იგი არც რუსებისთვისაა ხელსაყრელი, რადგან ამ სახელმწიფოსათვის საზიანო ლაპარაკისა და მოქმედების მიზეზს აძლევს გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს.

საკითხი დროულად გადაწყვეტას მოითხოვს!

ბულბატი რენილაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ევრაზიის ინსტიტუტის" ხელმძღვანელი: აუცილებელია აგვისტოს ომის შედეგების განხილვა, რათა ცივი გონები შევაფასოთ განვლილი ორი წელი და დავადგინოთ, თუ რა შედეგებამდე მივიყვანა ამ ომმა. ზოგიერთები იმ აზრს ანვიტარებენ, რომ რუსეთს უნდა დაეუპიროს სპირდეთ როგორც აგრესორ ქვეყანას, რაც დამღუპველი იქნება საქართველოსათვის. რუსეთი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორც არის, და იმედი უნდა გვაქონდეს, რომ იქ ყოველთვის გაიმარჯვებს მართლმადიდებლობა. ჩვენმა ინსტიტუტმა გამოსცა ბროშურა "რუსეთი და საქართველო: რა ხდება?", სადაც აღწერილი გვაქვს ცნობილი პუბლიცისტის თემურ მირიანაშვილის მოგონება 1996 წელს მომხდარ ერთ საინტერესო ფაქტთან დაკავშირებით. მაშინ საქართველოს ეწვია წარმომადგენლობითი დელეგაცია რუსეთის პრემიერ-მინისტრ ლიგოვიცის ხელმძღვანელობით. გაიმართა შეხვედრები, სადაც მიღწეული იქნა გარკვეული შეთანხმებები. რუსმა სტუმრებმა ისიც კი თქვეს, რომ ქართულ მხარეს რუსულ ტელეარხებზე ტრიბუნას დაუთმობდნენ, რათა იქ ქართველი სიმართლე გავგოთ. შეხვედრის ბოლოს კი სიტყვა მოითხოვა იმ დილით თბილისიდან ჩამოსულმა ვიღაც აყლაყულა ახალგაზრდამ, რომელსაც იმ მომენტამდე არასოდეს შეხვედრდებოდა. მან, როგორც იტყვიან, მთაღო პირი და სიტუაციის არაადეკვატურად წამოიწყო რუსეთის ლანძღვა, თან იძახდა, ჩვენ ამერიკის დახმარებით ამას ვიზამთ და იმას ვიზამთ. კარგად დამამასხვრდა, რატომღაც ასეთი "არგუმენტი" მოიშველია – თვითმფრინავი თბილისიდან ვენაში უფრო მალე ჩაღის, ვიდრე მოსკოვში... ეს აშკარად ჩამოყალიბებული გიჟის, და ამჟამად დროს პროვოკატორის გამოსვლა იყო. ამ პროვოკატორში საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი ამოვიცანი. თავისი პროვოკაციული გამოსვლით მიხეილ სააკაშვილმა მიაღწია მიზანს და გაოგნებული რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი ალექსანდრ ლიგოვიცი წყობიდან გამოიყვანა, რომელმაც დაუყვირა პროვოკატორს: "შენ მე თითის ქნევით ნუ მელაპარაკებო!" ამხე სააკაშვილმა რუსეთის კიდევ უფრო გაძლიერებული ლანძღვით უპასუხა...

ამ ომს ჰყავს მოგებულები და წაგებულები. წაგებული დარჩა მხოლოდ ქართველი და რუსი ხალხი, მოგებული კი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება დარჩა, რომელმაც მილიარდობით დოლარის დახმარება მიიღო დასავლეთიდან, რომლის დიდი ნაწილი არაკეთილსინდისიერ ქართველ ჩინოვნიკთა ჯიბეებში დაიღვეს. ასევე, მოგებული დარჩნენ ამერიკელები, რომლებიც ყველა ხურხის გამოყენებით ცდილობენ უარყოფითი იმიჯი შეაქმნან რუსებს საერთაშორისო სივრცეში.

თინათინ პაპორია, ჟურნალისტი: აუცილებელია დიდი ხნის რუსეთთან. მე ჯერ კიდევ 2009 წლის დეკემბერში განვუცხადე მედვედევს პირად საუბარში, რომ საჭიროა საქართველოს მიმართ პოლიტიკის შეცვლა და მაშინ ორივე ქვეყანა დარჩება მოგებული. ჭეშმარიტება მხოლოდ ქართველებსა და რუსებს შორის გამართულმა დიალოგმა უნდა დადგინდეს. სხვანაირად სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ...

თინათინ ბუაძე, დიდი სამამულე ომის მონაწილე: რუსეთში საქართველოსთვის გაგრძელება 12-გზეზე

მ ი მ ა რ თ ვ ა

კოლხებსა და სრულიად იბერიაში მცხოვრებ ხალხს და ყველას ვინც დატოვა სამშობლო - მართლმადიდებლებს

სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა კურთხევა და გაძლიერება ჭე შმარით მართლმადიდებლურ ქვეყანასა იბერიასა.

უბიწველად დიდება უფალს იესუ ქრისტეს იმისთვის, რომ გამხალდა მღვდელმთავრის წოდების ღირსი, რათა მომცეს საშუალება დავისმართ ჩემს მრავალტანჯულ კოლხეთს და მთელს იბერიას (საქართველოს), რათა მოუშობა რაც შეიძლება მეტ ხალხს ჩემი ერის გადასარჩენად მარცხენალი კურთხევით, ვინაიდან კურთხევით გარეშე მადლობლი ვერ ვიქნებოთ, ხოლო მხოლოდ სურვილებით ვერაფერს მივაღწევთ.

უფალი მოწევა, ჩემს ღოცვებში ყოველდღე მადლობას ვუხდობ მთელს მუდმივად ვეგვრებ, თავის ღოცვებში არ მიგატოვოს, და ნუ წაიღებს ჩვენგან უწმინდეს კვართს, კოლხეთის შეუცვლელ სიწმინდეს, და ნუ დაგვწყვეთ ჩვენი ცოდვებისათვის.

იბერია ისტორიულად მრავალ რეგიონს მოიცავს: აფხაზეთი, აჭარა, იმერეთი, გურია, ქართლი, კახეთი, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ხევსურეთი, დედალი, ხევი, მთიულეთი, საღა ურთიერთ პატივისცემა და სამშობლოსადმი დიდი სიყვარული სუფევდა, რაც ღვთისური მადლის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

შეუძლებელია ჩვენი მძებნის ოსებისა და აფხაზეთის დაფიქრება. იმ პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობის თბილი გრძობა დღემდე ღვივის ჩვენი ხალხის ტულებში. მაგრამ სატანას არ სძინავს და ცდილობს იქ დათესოს სიბუღილე, სადაც მშათა ურთიერთ პატივისცემასა და სიყვარულს ხედავს.

აღამიანს, საკუთარი ძალებით, ეკლესიის დახმარების გარეშე, არ ძალუძს ცოდვების მიმართ წინააღმდეგობის გაწევა - ეკლესია შუამავალია ღმერთსა და აღამიანს შორის, ამისთვის უფალმა შექმნა სახლი თავისი, სადაც შეიძლება აღსარება და საკუთარი ცოდვების მონანიება.

ეკლესია მრევლის ყოველთვის მოუწოდებს იფოს კანონმორჩილი და არ უკრძალავს ღვთისმსახურებს სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობას, თუ ეს ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ ეკლესიის კანონებს. სწორედ ამანა და ნათქვამი პავლე მოციქულის ეპისტოლეებში:

„ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს სეროშიდებს; ვინაიდან არ არსებობს სეროშიდები, თუ არა ღვთისაგან, ხოლო არსებული ღვთის მიერ არიან დაღვინდნი. ამიტომ სეროშიდების მოწინააღმდეგე ეწინააღმდეგება ღვთის დაღვინდვას, ხოლო მოწინააღმდეგე მსჯავრს დაიჭიროს თავზე. რადგან უფროსნი საშიშნი არიან არა კეთილი საქმეებისათვის, არამედ ბოროტათათვის. თუ ესურს, რომ სეროშიდებისა არ გეშინოდეს, კეთილი აკეთე და ქება მიიღებ მისგან; ვინაიდან იგი ღვთის მსახურია შენდა სასიკეთოდ. მაგრამ თუ ბოროტების იქმნე, გეშინოდეს, რადგან ტყუილად

როდ ატარებს მსხვილს; ის ღვთის მსახურია და რისხვით შურისმაძიებელი ბოროტმოქმედზე. ამიტომ ჩვენ უნდა დავემორჩილოთ არა მარტო რისხვის გამო, არამედ სინდისის გამოც. სწორედ ამისთვის იხილეთ ხარკებს, ვინაიდან ისინი ღვთის მსახურები არიან და დღენიდან ამას აკეთებენ. ამრიგად, მიეცით ყველას, რაც ეკუთვნის: ვსაც ხარკი - ხარკი, ვსაც ბაჟი - ბაჟი, ვსაც შიში - შიში, ვსაც პატივი - პატივი.“ (რომ. 13. 1-7)

ხალხის უმეტესობის მიხედვით ისევე ხალხშია. ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავე იმაში, რაც ხდება ჩვენს გარშემო. ვერანაირი სერიოზულობა ვერ გვაქვით, თუ არ შევიცნობთ ბოროტების მიხედვით, ავადმყოფობის უბიწველესი მიხედვით ამავე რაგონებს; ამავე რაგონებს და ბრის პატივი მომაკვლინებელი ცოცხალია.

ყველა ვინც თავს თვლის მართლმადიდებლად, იცის, რომ იბერია წილიან ხელს ყოველდღე მინდა ღვთისმშობელს, და თუ ღოცვებში შევთხოვთ დედაღვთისმშობელს, მხოლოდ მაშინ გვექნება ხსნა.

ამისათვის კოლხეთში ქ. ზუგდიდში განისვენებს ყოველდღე მინდა ღვთისმშობლის უწმინდესი კვართი, რათა გავხსნათ გადარჩენისაკენ, უფალი ელოდება ჩვენგან მონანიებას.

იმედი მაქვს შევასრულებ ჩემს მიწრაფებებს, არა ჩემი სიბრძნისა და ღვთის წინაშე დავაწილით, არამედ იმედი მაქვს ღვთის შეწევნით, უფალი დამაყენებს მისთვის სასურველ გზაზე. უდიდეს იმედებს ვამყარებ ქრისტესმიერ საყვარელ მძებზე, რომელთა შორის ვიმყოფები.

არ შეიძლება არ აღვნიშნოს ის მოვლენები, რაც ხდება დღეს მეგრულ და სვანურ ენებში ღოცვების აღდგენის ირგვლივ.

ეკლესიის პოზიციას, ამ საკითხის მიმართ, დაუფლებულია წმიდა მოციქულ პავლეს ეპისტოლე. წმ მოციქული პავლე თავის უსტარში მიუთითებს ენის მნიშვნელობაზე და პატივისცემაზე:

„ახლა კი, ძმანო, თუ მოვალე თქვენთან და ვილაპარაკებ ენებით, რა სარგებლობას მოგიტანო... ასევე თქვენც თუ ენით გაურკვეველ სიტყვას წარმოთქვამთ, როგორ გაიტყუებთ ნაღობსავე? პირველი ილაპარაკებო... ამიტომ თუ ხმის მნიშვნელობა არ ვიცო, უცხო ვიქნები მოლაპარაკისათვის, ხოლო მოლაპარაკე - უცხო ჩემთვის... ამიტომ ილოცოს ენით მოლაპარაკე, რათა განმარტოს კიდევ... ვინაიდან, თუ სულით აკურთხებ, როგორ იტყვის ამენს შენს მადლობაზე აღდგომის მღვდელს უმეცარი მრევლი? თუ არ იცის, რას ამბობ შენ... მაგრამ მირჩევნია ეკლესიაში შეუთი სიტყვა ვთქვა ჩემი გონებით, რათა სხვებსაც ვასწავლო, ვიდრე ათი ათასი სიტყვა ენებით.“ (I კორ. თავი 14)

რაც მიტყვევებს ჩემი, ყველა ენა კურთხეულია ღვთისგან, რადგან ცნობილია, წმ. მოციქულთა წერილებში გამოხატულია ღვთის ნება. ღვთის მადლის

გარეშე არ იწერებოდა არც ერთი ეპისტოლე.

დღეს ჩვენი ქვეყნის მტკრება და მოყვარეობა, იცის ჩვენი ქვეყნის შიდა ბრძოლები, და არ არის გამოცხადებული, რომ გამოიყენო მეგრული ენის აღდგენის პროექტი, ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ და მიტყვევებენ ქვეყნის დაუფლებელ. მეორე მხრივ ღვთის კურთხევით დაღვინდის უარყოფა და არაღიარება ჭე შმარითებისა დათესავს უკმაყოფილებას ხალხში, რაც მოგვტანს უარყოფით შედეგს.

ნებისმიერი ადამიანისთვის (ვისაც გააჩნია სინდისი) მიუღებელია თავისი ქვეყნის მტრად გამოცხადება, მშობლიური ენის აღდგენისათვის.

მეგრული და სვანური ენების განმტკიცება, ზოგიერთი მეცნიერებისთვის ნიშნავს ქვეყნის დაშლას.

ყველა მორწმუნე მართლმადიდებელი უნდა იცოდეს რა წერია რწმუნებში. - როცა ფარისევლებმა მოინდომეს დემეტრიანთან რომ ქრისტე ეწინააღმდეგებებო. მოსეს დროინდელი დღევანდელი რწმუნის, სახელმწიფოს - რომ მივიღო მითაგან დახმარება ქრისტეს წინააღმდეგ და ხალხის წინაშე აღანა მათულებდნენ რომ ეშმაკის ძალით მოქმედებს, ქრისტემ იცოდა მათი ზრახვები და უთხრა მათ: „ყოველი სამეფო, რომელიც თავისავე წინააღმდეგა დაყოფილია, გააპარტახდება და სახლი სახლს დაეცემა.“ (ლოუკ. თ. 11. 17)

ამ სიტყვებით მრჩენალი და ღმერთი ჩვენი, იესო ქრისტე აფრთხილებს ყველას, რომ დაეცემა მისი სახლი, ვინც თავისი საქმით მოუწოდებს ხალხს ქვეყნის დაშლისკენ. ხალხის ამბოხებასა და სახელმწიფოს დანაწევრებისკენ მოწოდებაში მონაწილეები უნდა ელოდონ სასჯელის ღვთისგან. საქმე მათი იქნება გააპარტახებული და სახლი მათი დაეცემა.

ესეა მივაქციოთ ყურადღება იმასაც, რას წერს წმ. მოც. პავლე თავის ეპისტოლეში: „მაგალითად, რამდენი განსხვავებული სიტყვა წუთისთვისაა და მათგან არცერთი არ არის უმნიშვნელო.“ (I კორ. თავი 14. 10) თუ სიტყვა არ არის უმნიშვნელო ღვთის წინაშე, ენის უარყოფაზე, რომელსაც გააჩნია 20 მილიონი სიტყვა, საუბარი ზედმეტია. არ არა უფრო უნდა გავცეთ პატივი მამანტი პაპამის მრავალწლიან შრომის შედეგად გამოშვებულ წიგნს, შეიღწოთ: „მეგრული ენის დექსიკა და სიტყვით წარმოშობა.“ - სადაც უკვე აღნიშნულია აქვს ოცი მილიონი მეგრული სიტყვა და ვერ ატარებო მუშაობას ამ თემაზე, რადგან არა აქვს სახელმწიფო დანიშნული მუშაობა, ანუ ბირთვით გრძობის უარყოფით განწყობას, ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებისგან და მეცნიერებისგან. უფლება აქვს თავისი აზრი ყველამ გამოხატოს, მაგრამ გადამწყვეტილება რის საფუძველზე უნდა მივიღოთ?

მათ საყურადღებოთ, ვინც წინასწარმეტყველებს მეგრულთა და სვანთა დაღატ, თავისი ქვეყნის - იბერიის წინააღმდეგ, მათ ენის აღდგენის შემდეგ, ნუ დაიფიქრებთ

ჩვენი რწმუნის ფუძეს, რომელიც დამკვიდრებულია რწმუნებზე, იმედზე და სიყვარულზე. მთავარი მათ შორის სიყვარულია. სადაც სიყვარულია იქ არ არსებობს ეჭვი. სადაც ეჭვია აღამიანთა შორის, იქ არ არსებობს ღვთისური მადლი. მადლის გარეშე კი სახელმწიფო და ოჯახიც დაეცემა.

მოუწოდებ ყველას, ვისაც მიაჩნია თავისი სამშობლოთ იბერია (საქართველო), გუყვარდეთ ერთმანეთი ქრისტეში, და ჩვენს გულში არ დაგვიტოვოთ აღდგომის გრძობისთვის, რომელიც ეჭვისკენ მოგვიწოდებს.

ასეთი ურთულესი მდგომარეობიდან, რომელშიც იმყოფება მეგრული და სვანური ენების საკითხი, გამოსვლა შეუძლებელია ღვთის მადლის გარეშე. ხალხის აზრი გაყოფილია, ეს შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის მტრებს, რათა უფრო მეტად გამოწვევონ ისედაც დაპაბული მდგომარეობა ქვეყანაში.

კოლხეთში მოსახლეობას გააჩნია ღვთის შიში. წემით აღნიშნულია გზით, მეგრული და სვანური ენების საკითხის გადაწყვეტა გააძლიერებს ხალხს და გაუწყვეს წინააღმდეგობას ჩვენი ქვეყნის მტრებს, რომლებიც უკვე მუშაობენ აღნიშნულ თემაზე რადგან იციან ჩვენი მთავრობის გაურკვეველი განწყობა ამ ენების აღიარების საკითხთან დაკავშირებით. მოუწოდებ ყველას, ვინც თავისი მოსაზრების გამოხატვა სურს, ამ თემის ირგვლივ, არ მივაყენოთ შეურაცხყოფა განსხვავებული აზრს, რადგან მარტო ღმერთმა იცის რომელი გზა კურთხეული მის წინაშე. უნდა ელოცოთ რომ გაგვისხნას უფალმა თავისი ნება. იფო საკითხები რომ წმ. მამები არ ენდობოდნენ თავისი მოსაზრებისა და მიმართვების წირვა-ლოცვებით კენჭისყრას რომ მიეღოთ გადაწყვეტილება.

არა მარტო ღვთის მსახურებისთვის ცნობილია რომ, კენჭისყრით, არა ერთხელ მიუღიათ წმ. მამებს გადაწყვეტილებები რომ გაეცოთ ღვთის ნება და დამყარებულიყო მშვიდობა ეკლესიაში და სახელმწიფოში. წმ. მოციქულთა კენჭისყრით გაარკვეს თუ ვინ და სად უნდა წასულიყო სახარების საქადაგოდ. ჩვენი სამშობლო - იბერია წილიან ენად მარია ღვთისმშობელს.

- ყოველივე საქმე, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელოც, თუნდაც არ ეწინააღმდეგება რწმუნის კანონს, კურთხევის გარეშე უნაყოფია.

ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა იფოს თქვენთან აქ და მარადის და საუკუნეთა საუკუნეთა. ამენ!

ანტიპო

მორჩილი ეპისკოპოსი

დავით სსულუხია

კოლხური ჭე შმარითი მართლმადიდებლური ეკლესიის სათვისტომოს თავმჯდომარე

მისტიკიდან ანაკლიამდე, ანუ თხილამურებით ზღვაში


საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ ანაკლიის ახალი პლაჟი მოინახულა, მერე კი ვერტმფრენით მესტიაში გადაფრინდა და ბავშვთა შორის სამთო-სათხილამურო ტურნირზე დასწრება და თხილამურებით სრიალიც მოასწრო. ამ ყველაფრის შემდეგ, ცხადია, კიდევ ერთხელ წარმოვიდგინა საქართველოს ერთადერთობის დამადასტურებელი არგუმენტები და აგვისხნა, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ევროპაში, სადაც შესაძლებელია ცურვა ტროიკულ პლაჟზე და ამასთანავე, სრიალი თხილამურებით. „მიმდინარეობს ანაკლია-მესტიის გზის მშენებლობა და ამ მშენებლობის დასრულების შემდეგ ანაკლიიდან მესტიაში ჩასვლა ორ საათში იქნება შესაძლებელი. იანვრიდან ჩვენ ვიწყებთ რეკლამას მსოფლიოში საქართველოს შესახებ, რომ საქართველო არის ერთადერთი ადგილი ევროპაში, სადაც შეგიძლია იცურაო ტროიკულ პლაჟზე - ანაკლიაში და, ასევე, შეგიძლია ორ საათში თხილამურებზე ისრიალო“, - განაცხადა სააკაშვილმა. მესტიიდან თხილამურებით პირდაპირ ზღვაში ჩასრიალების თაობაზე პრეზიდენტს ამჯერად არაფერი უთქვამს.

ხალხში გაჩნდა იმის სერიოზული ეჭვიც: საბოლოოდ ხომ არ გააუფლო სააკაშვილმა საზღვარი აფხაზეთსა და საქართველოს შორის ანაკლია-მესტიის ტრასის აშენებით? და რაც მთავარია, არც იმას განუმარტავს მოსახლეობას ვინმე, რომ აგვისტოში მაღალმთიან ზონებში

თოვლი იმ ადგილებში შემორჩება ხოლმე გარეშე, სადაც მზის სხივი არ აღწევს. ეს თოვლი კი არა, ფაქტობრივად ერთმანეთზე საუკუნეთა განმავლობაში დაფენილი გაყინული თოვლის საფარია, რომელსაც ჰია უნდებდა და შიგ, სწორედ უმზებობის გამო, ათასგვარი ბაცილა ბუდობს. მეგრელები ამას „ჯიშტს“ ეძახიან და ერთდებინა ხოლმე. დაკვირვებული თვალი იხილავს შეამჩნევდა, რომ სვანეთში ასევე „მადალ“ მოთხილამურეთა საამებლად ვიდაცვები ცდილობდნენ ასფალტით დაგებული თოვლის საფარის აჩეხვას, რათა იგი ნაკლებ საფრთხის შემცველი გამხდარიყო. მაგრამ, ვითაუ ამ საქციელს მართლაც რაიმე მომაკვლინებელი ვირუსი ამოაყვეს.

ეს არც საქართველოს მრავალტანჯულ მოსახლეობას წაადგება რამეში და არც სრულიად საქართველოს, როგორც მსოფლიო ტურისტული „მექას“ ისედაც დაბლა დაცემულ საერთაშორისო ავტორიტეტს.

ამიტომ: ფრთხილად!



ამერიკის შეერთებული შტატებს ბანზრახული აქვს მიჰასთან ბაასწოროს ირანი

ირანის მიწისქვეშა ნავებობებისა და გვირაბების გასანადგურებლად ამერიკელებმა კალიფორნიიდან 387 ბომბი გადართანეს ინდოეთის ოკეანეში მდებარე დიეგო-გარსიას კუნძულზე ამას იუწყება შოტლანდიური გაზეთი Sunday Herald. გაზეთის მტკიცებით ეს ფოტოებელი ყუმბარები განკუთვნილია „დამორჩილებელი“ ირანისათვის, რომელიც არასვხით არ თმობს თავის ბორთვულ პროგრამას. Bu-110 და Bu-1 ტიპის ყუმბარები განკუთვნილია მიწაში დიდ სიღრმეზე მდებარე ობიექტების გასანადგურებლად. თუ გავითვალისწინებთ, რომ დიდი ბრიტანეთის საკუთრებაში არსებულ დიეგო-გარსიას კუნძულს ამერიკელები 1971 წლიდან იყენებენ სამხედრო ბაზად და იქ განთავსებულია „სტელსის“ ტიპის თვითმფრინავები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანს მართლაც რეალური საფრთხე ემუქრება. გამოსთქმულ ვარაუდს აძლიერებს ისიც, რომ ამერიკელებმა აღნიშნული თვითმფრინავები კარგა ხანია გადააკეთეს ამ ტიპის ბომბების ტრანსპორტირებისა და საბრძოლოდ გამოყენებისათვის. როგორც ლონდონის უნივერსიტეტის დიპლომატისა და საერთაშორისო კვლევის ცენტრის დირექტორი დენ პლეში აღნიშნავს, ამერიკულ თვითმფრინავებს რამდენ-

იმე საათის განმავლობაში ირანში 10.000 სამიხნის განადგურება შეუძლიათ. ამერიკელებმა კუნძული დიეგო-გარსია უკვე ორჯერ გამოიყენეს ერაყის წინააღმდეგ - 1991 და 2003 წლებში. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ობამა დამოუკიდებლად მიიტანს ირანში ირანზე და ოპერაციებში არ ჩართავს ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებს. დამოუკიდებელი ექსპერტები კი თვლიან, რომ ამ ბომბების მიტანა ირანის საზღვრებთან სერიოზულ პრობლემას წარმოქმნის. „ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრძელებენ ომის რიტორიკით მოქმედებას“ - აცხადებს შოტლანდიელი ექსპერტი ალან მაკინონი. ამასვე ადასტურებს ჰილარი კლინტონის განცხადებაც, რომელმაც განაცხადა, რომ ირანზე დაწოლა უნდა გაძლიერდეს. თავის მხრივ, ბრიტანელი სამხედროები აღნიშნავენ, რომ დიეგო-გარსიას კუნძულის სამხედრო მიხნებით გამოყენებისათვის ამერიკელებს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ნებართვა დასჭირდება, რაც წინა ორ შემთხვევაში მათ დაბრკოლებას გარეშე მიიღეს. თავად ამერიკელ სამხედროებს ამ საკითხზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ალექსანდრე კალაბანოვი

ბაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები"

მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იზაღებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასობით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვიხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმჯერებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ უღამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოვევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვდნენ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "ატლეტიკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჯანიკები", "ოლიმპია სტადიონი", "ვემბლენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთაღვე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს. ამ რუბრიკით ჩვენ გავაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

ამადეო კარსო
დაიბადა 1926 წლის 12 ივნისს, არგენტინაში.
თამაშობდა კლუბებში "რივერ პლეტი" (არგენტინა), "ალიანსა" (პერუ), "მილიონარისი" (კოლუმბია).
ყველაზე დღევანდელმა სპორტსმენმა რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მისი, როგორც მეკარის კარიერა დაიწყო მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში და დასრულდა სამოციან წლებში. ეს უძლიერესი პიროვნება და ფეხბურთის ჭეშმარიტი დიდოსტატი 44 წლის ასაკამდე მონაწილეობდა არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატში და 21 სეზონის განმავლობაში 522 მატჩში მიიღო მონაწილეობა. იგი ხუთ მსოფლიო ჩემპიონატში თამაშობდა არგენტინის საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში და ბოლოს მონაწილეობა მიიღო 1958 წელს შვედიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში.
ფეხბურთის სამყაროს დღესაც კარგად ახსოვს მაშინ არგენტინის ნაკრების კატასტროფული მარცხი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან ანგარიშით 6:1, რასაც მთლიანად კარისოს აბრალებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, არც მთლად ასე იყო საქმე, რადგან რამდენიმე თვის შემდეგ კარისოს კვლავ უხმეს ნაკრების შემადგენლობაში "მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში" მონაწილეობის მისაღებად, რომელიც 1960 წელს გაიმართა ბრაზილიაში. აქ არგენტინელებმა დაამარცხეს ბრაზილიელები და ინგლისელები და ჩემპიონობა მოიპოვეს.
"რივერ პლეტიდან" წასვლის შემდეგ იგი მონაწილეობდა პერუსა და კოლუმბიის ჩემპიონატებში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი ახალგაზრდულ გუნდებს წვრილიდა.

პარლოს კასელი
დაიბადა 1950 წლის 5 ივნისს.
თამაშობდა კლუბებში "კოლო-კოლო" (ჩილე), "ევანტე" (კოლუმბია) და "კოლო-კოლო" (ჩილე).
კასელი, რომელც თავდასხმის ცენტრალურ ხაზზე თამაშობდა, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისის ერთ-ერთ წარმატებულ და შედეგიან ფეხბურთელად ითვლებოდა. სწორედ მის დამსახურებად თვლიან, რომ "კოლო-კოლო" გახდა ჩილეს პირველი საფეხბურთო გუნდი, რომელიც ლიბერტადოსის თასის ფინალში გავიდა.
კასელი არ მალავდა თავის მემარცხენე პოლიტიკურ შეხედულებებს. 1973 წლის შემდეგ, როცა ჩილელმა სამხედროებმა დაამხეს საღვადორ ალიენდეს ხელისუფლება, კასელის სამშობლოში დარჩენა რეალურ საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს, ამიტომ ფეხბურთელი იძულებული შეიქნა გადაბარებულიყო ესპანეთში, სადაც საფეხბურთო კლუბ "ლევანტეში" გააგრძელა თამაში.
იგი ჩილეს ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა 1974 წელს გერმანიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, 8 წლის შემდეგ კი ესპანეთში გამართულ მონდიალზეც მიიღო მონაწილეობა.
ამასობაში ჩილეში პოლიტიკური სიტუაცია დალაგდა, კასელი სამშობლოში დაბრუნდა და "კოლო-კოლოში" თამაშობდა კარიერის დასასრულამდე.
იან კულმანსი
დაიბადა 1957 წლის 28 თებერვალს, ბელგიაში.
თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში "ლიერსი" და "ბრიუგე".
კულმანსი, რომელმაც საფეხბურთო კარიერა თავდასხმეულად დაიწყო და ნახევარმცველად დაასრულა, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბელგიის საფეხ-

ბურთო ნაკრების ცენტრალური ფიგურა გახლდათ. მან თამაში კლუბ "ლიერსში" დაიწყო, მოგვიანებით კი "ბრიუგეში" შეიძინა 250 ათას ფუნტ სტერლინგად, რაც იმ დროისათვის რეკორდული საფეხბურთო გარიგება გახლდათ. 1980 წელს მისი გუნდის მიერ გატანილი 76 გოლიდან 29 მოდიოდა კულმანსის ანგარიშზე, რის შედეგადაც იგი აღიარებულ იქნა ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელად. მომდევნო წელს მას იტალიის "მილანში" უნდოდა გადასვლა, მაგრამ დედის თხოვნის შემდეგ სამშობლოში დარჩა და გააგრძელა თამაში, რის გამოც არასოდეს უნანია.
კულმანსი წარმატებულ გამოვიდა მექსიკაში 1986 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც ბელგიელებმა მეოთხე ადგილი მოიპოვეს.
იან კულმანსმა, თავისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში 96-ჯერ მოიგო ბელგიის საფეხბურთო ნაკრების წევრის მისიური და საერთო ჯამში გაიტანა 26 გოლი, რაც დღემდე წარმოადგენს ბელგიის რეკორდს.

გიორგი ჯალაღანია



იჯამოკი

- ***
ფსიქიატრთან:
- ექიმო, სიზმარში მაგრად ვიტანჯები. ვხედავ ჩემს წინ კარია წარწერით. ვაწვები, ვაწვები, მაგრამ არ იღვბა!
- კარს რა აწერია?
- "შენსკენ მოსწიე".

ორი დაქალი საუბრობს:
- რა სიმპათიურია ჩვენი ახალი თანამშრომელი გოგონა, რა ეშხიანია, ტანადი... სწრაფია, სწრაფია... ყველაფერს ჩქარა აკეთებს, ერთ წუთში.
- ეგე, ეგ ნაკლი რომ არ ჰქონდეს, ვერაფერს აჯობებდა. სულ ჩქარა, სულ ჩქარა...

- ჩემი ძაღლი სახლში რომ მოდის, ზარს თვითონ რეკავს ხოლმე.
- შენი ძაღლი ისეთი მამაძაღლია, რომ თურმე სხვის კარებზეც რეკავს ზარს.
- შენ რა იცი?
- ჩემმა ძაღლმა მითხრა.

- წელან დაგინახე, ვაჟბატონო, როგორ ამოდოდი ღვინის სარდაფიდან! - უყვირის მიხოს ცოლი.
- მა, სულ იქ ხომ არ დავრჩებოდი? - ლულუღლებს მთვრალი მიხოს.

- მიტო, სად იყავი დილას, ჯო, გეძახდი და ვერ გაგაგონე!
- რას გამაგონებდი, საუზმეზე "სუხარსა" გჭამდი...

2008 წლის აპრილის თემა: პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერ-მოკალური შედეგები.

გაგრძელება 10-გვლიდან
სასიკეთო ბევრი საქმე კეთდება დღეს. ავიღოთ თუნდაც მოსკოვში არსებული ქართული სკოლები, რომელთა გამართულად საქმიანობასაც მოსკოვის ქართული დიასპორა წარმართავს. სწორედ ეს ბავშვები ეწვეიან ქართული სულიერების პროპაგანდას რუსეთში და, ნამდვილად არ არსებობს იმის საშიშროება, რომ რუსეთში როდისმე მიინაგლება და საბოლოო გაქრება ქართული სული. ამიტომაც აუცილებელი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა დიალოგით – იარაღის გამოყენებით სასარგებლო საქმე არასოდეს გაკეთებულა. რუსეთში ქართულ ენაზე სწავლებას დიდი ყურადღება ექცევა, მაშინ, როცა საქართველოში განათლების სისტემა დაუნდობლად ინგრევა, ჩვენი ქვეყნის მთავარ საზრუნავს კი მხოლოდ შეიარაღების არსენალის შევსება წარმოადგენს...
ბიზი სომხიშვილი, მწერალი: ორი წლის წინათ სიღნაღში ამირანის შესანიშნავი ძეგლი დაანგრეს ხელისუფლებმა. ეს საქართველოს ძლიერების სიმბოლო გახლდათ და ხმალშემართული იტყვირებოდა აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც მუდამ თავს გვესხმოდა მტერი. ეს მანქურთები დაუნდობლად ებრძვიან ქართულ კულტურას და განათლებას. სიღნაღში უნივერსიტეტის ფილიალის შენობა ვიდაც პარლამენტარმა იყიდა და ახლა ყარაულების სახელფასო დავალიანება რომ გაისტუმრონ, შენობას ნაწილ-ნაწილ შლიან და ჰყიდიან. ვიდრე ქუთაისში მემორიალს ააფეთქებდნენ, სიღნაღში უნივერსიტეტის კომპლექსი დაანგრეს, სოლომონ დოდაშვილის ძეგლი კი უკვე მესამეჯერ გადაიტანეს სხვა ადგილზე. ყოველნაირად ცდილობენ ხალხს მესხიერებიდან ამოუშალონ წარსული. შევარდნამ იმის თქმაც კი იკადრა, რომ ერეკლე მეორემ მხოლოდ ხმლის ქნევა იცოდაო. სწორედ ერეკლემ გადაარჩინა დაშლა-განადგურების რეალური საფრთხის წინ მდგარი საქართველო რუსეთთან შეერთებით. განა დიდი იღია ჭაგვაძე არ ამბობდა: რუსის ჯარის საქართველოში შემოსვლა დიდი ბედნიერება იყოო?!
ამის დაეწევა ნიჰილიზმი და უმადურობის აშკარა გამოვლენა გახლავთ, რაც არასდროს არ იდო ქართველი ადამიანის ბუნებაში. **დავით ძოგალია**, ჟურნალისტი, გერმანიისტი, გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორის მოადგილე:
სწორედ რომ დასავლეთიდან მოდის სეპარატიზმის სინდრომი (გავისხენოთ თუნდაც ისტორიულად ავსტრიული ტიროლის მხარე, რომელიც უკვე ოთხმოცდაათი წელია მიტაცებული აქვს იტალიას და დღემდე მოუგვარებელია იგი! ამის შემდეგ რატომ უნდა ჰქონდეს იგივე ევროპის იმედი საქართველოს?), რომელსაც დღეს კვლავ სა-



 <p>ავტორებს ეპისტოპათ კასუსისმეგობრობა უძატივისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართია: თბილისი, ამბროლაურის ქუჩა №166/5 სარეგ. №01018002930</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ძოგალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოღრიშვილი ბაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძოგალია</p>	<p>www ilori.ge e-mail: elisabetthal@yahoo.de რედაქციის განთავსება 38-41-97 893-51-01-71 899-34-37-27</p>
---	---	--	--